# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 29 სექტემბერი 2005 №223 (2546) ფასი 50 თეთრი




**გია გურული ქართველებს საფრანგეთის კარს უღებს**

ალენ ჟირესს ფიფაში საჩივარი შეუტანია

3




**თამაშის ჩემი წესები**

დასასრული

8



**პატარა მებრძოლი**

შაფაქიძემ პროგნოზიორები გააჩუმა

14

# დაკუნთული ცაციები

## ცქიტიშვილის ამბავი გადაწყვეტილია, გახოკიძის გაჭიმული





8 და 10 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები შინ ყაზახეთთან და სტუმრად საბერძნეთთან ითამაშებს. გაიოზ დარსაძის სამწყსოს უკვე გამოაკლდა ერთი ფეხბურთელი: ვოლფსბურგელი ლევან ცქიტიშვილი ტრავმირებულია და ვერ ითამაშებს.

გასულ უქმეებზე კი ჰოლანდიური ერედივიზიონის „ტვენტე" — „ფეიენოორდის" სამატჩო განაცხადში გოგა გახოკიძე არ იყო და მისი სანაკრებო შეკრებაზე ჩამოსვლაც ძალიან სათუოა.

— „ფეიენოორდამდე" თასზე გვქონდა მატჩი „ფორტუნასთან" და მარცხენა ფეხის უკანა კუნთი გამეჭიმა. სამი დღე დავისვენე, მაგრამ დღევანდელ ვარჯიშზე კვლავ შემაწუხა ტკივილმა. ექოსკოპია გადავიღე, და ვერაფერი აღმომიჩინეს. ხვალ კი სპეციალურ კაფსულაში მომათავსებენ და ისე გამაშუქებენ. ძალიან შეწუხებული ვარ, ნაკრებში ჩამოსვლა მინდოდა და ასეთი რამ შემემთხვა. ძლიერი ტკივილი რომ იყოს, ჯანდაბას, გამაყუჩებლებით ვითამაშებდი, მაგრამ ასეთ ტკივილზე გამაყუჩებლით თამაში გამორიცხულია. მოკლედ, ხვალინდელი გამოკვლევის შედეგს ველოდები - გვითხრა გუშინ გახოკიძემ.

# ოთხშაბათი ქართულ ინგლისური ფრენით




ლივერპული — ჩელსი 0:0. ჯიბრილ სისემ (მარცხნივ) უილიამ გალასი არ დაინდო

AFP

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი II ტური. წუხელ

### E ჯგუფი

**შალკე 2:2 მილანი**

0:1 ზეედორფი (1), 1:1 ლარსენი (3), 1:2 შევჩენკო (59), 2:2 ჰამიტ ალტინტოპი (70)

შალკე: როსტი, ბორდონი, რაფინია, კრისტაიჩი, როდრიგესი, კობიაშვილი, პაულსენი (ბაირამოვიჩი 85), ერნსტი (ჰამიტ ალტინტოპი 68), ლინკოლნი, კურანი (სანდი 73), ლარსენი

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

მილანი: დიდა, კაფუ (სტამი 77), ნესტა, მალდინი, კალაძე, პირლო, გატუზო, კაკა (რუი კოშტა 74), ზეედორფი, ჯილარდინო (ვიერი 71), შევჩენკო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: კაკა, პაულსენი

მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)

**ფენერბაჰჩე 3:0 პსვ**

1:0, 2:0 ალექსი (40პ, 68), 3:0 აპია (90)

ფენერბაჰჩე: დემირელი, ტურაჩი, ვალჩი, ლუსიანო, ოზატი, მარკო აურელიო, აპია, საჰინი, ნობრე (იობრათი 90), ანელკა, ალექსი (არსლანი 90)

მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი

პსვ: გომესი, ადო, ოიერი, ლუსიუსი (ფერეირა 54), ალექსი, კოკუ, სიმონსი, აფელაი, ბისლი, ფარფანი, ჰესელინკი

მწვრთნელი: გუუს ჰიდინკი

გაფრთხილება: ჰესელინკი, ჰესელინკი, ოიერი, ტურაჩი

გაძევება: ჰესელინკი (45)

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| პსვ | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| შალკე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

### F ჯგუფი

**რეალი 2:1 ოლიმპიაკოსი**

1:0 რაული (9), 1:1 კაფესი (48), 2:1 სოლდადო (86)

რეალი: კასილიასი, რამოსი, სალგადო (დიოგო 80), ელგერა, რ. კარლოსი, ბექემი, პ. გარსია (გრავესენი 85), ბაპტისტა (სოლდადო 79), გუტი, რობინიო, რაული

მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, მავროგენიდისი (კაშისი 40), ანატოლაკისი, კოსტულასი, გეორგატოსი, კაფესი, ტურე, სტოლტიდისი (ბაბანგიდა 90), რივალდო, კონსტანტინუ (ოკასი 85), ჯორჯევიჩი

მწვრთნელი: ტრონდ სოლიდი

გაფრთხილება: სტოლტიდისი, რივალდო, პ. გარსია, გუტი, ოკასი, კაფესი

გაძევება: რამოსი (90)

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

**რუსენბორგი 0:1 ლიონი**

0:1 კრისი (45)

რუსენბორგი: იონსენი, კვარმე, სტრანდი (ბასმა 66), რისეტი, დორსინი, სკილბრედი, ბერგი, სოლი, ბრატენი, ჰელსტადი (იონსენი 68), სტორფლორი (ოდეგაარდი 59)

მწვრთნელი: პერ-მატიას ჰიოგმე

ლიონი: კუპე, რევეილერი, კრისი, კასაპა, ბერტოდი, ტიაგო, დიარა, ჟუნინიო, გოვუ (ვილტორდი 85), მალუდა, კარეუ (ფრედი 90)

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილება: ბერგი, ოდეგაარდი

მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| რუსენბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| რეალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

### G ჯგუფი

**ლივერპული 0:0 ჩელსი**

ლივერპული: რეინა, კარაგერი, ფინანი, ჰიიპია, ტრაორე, ლუის გარსია, ჰამანი, ჯერარდი, ალონსო, კრუჩი, სისე (პონგოლე 78)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ჩელსი: ჩეხი, ტერი, ფერეირა, კარვალიო, გალასი, ესიენი, მაკელელე, ლამპარდი, დაფი (კრესპო 75), რობენი (შ. რაიტ-ფილიპსი 65), დროგბა (ჰუტი 90)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ალონსო, მაკელელე, რობენი, ლამპარდი, ტერი

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

**ანდერლეხტი 0:1 ბეტისი**

0:1 ოლივეირა (69)

ანდერლეხტი: პროტო, ვანდენ ბორე, დემანი, ტიინენი (აკინი 80), დეშახტი, ვილჰელმსონი, ვანდერჰაიგე (ბასეჯო 86), ზეტერბერგი, გოორი, მ. მპენზა, იესტეროვიჩი

მწვრთნელი: ფრანკ ვერკაუტერენი

ბეტისი: დობლასი, დ. რივასი (ნანო 73), მელი, ხუანიტო, ო. ლოპესი, ვარელა, რივერა, მ. ამხელი, ხისკო (ფერნანდო 77), ხოაკინი (ასუნსაო 90), ოლივეირა

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

გაფრთხილება: დ. რივასი, ო. ლოპესი, ხუანიტო, ვარელა

მსაჯი: რობერტო როსეტი (იტალია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ბეტისი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ანდერლეხტი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |

### H ჯგუფი

**ინტერი 1:0 რეინჯერსი**

1:0 პიზარო (49)

კრუზმა ვერ გაიტანა პენალტი (38)

ინტერი: სეზარი, კორდობა, სამუელი, მატერაცი, ვომე, ფიგუ (ზე მარია 76), პიზარო, კამბიასო, სოლარი (კილი 85), მარტინსი (რეკობა 60), კრუზი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

რეინჯერსი: ვატერეუსი, როდრიგესი, რიკსენი, კირიაკოსი, ბერნარდი, ნამუჩი (ტომპსონი 90), ფერგიუსონი, მიური (ნიეტო 84), ლოვენკრანდსი, ბუფელი (ჯეფერსი 78), პრსო

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: ფიგუ, კორდობა, ვატერეუსი

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

**პორტუ 2:3 პეტრჟალკა**

1:0 ლ. გონსალესი (32), 2:0 დიეგო (39), 2:1 პეტრასი (45), 2:2 კოზაკი (54), 2:3 ბორბელი (74)

პორტუ: ბაია, ბოსინგვა, რ. კოშტა (ალანი 76), ბ. ალვეში, სეზარი, იბსონი, დიეგო (ალმეიდა 76), გონსალესი, კვარეშმა, ჟორჟინიო, მაკარტი

მწვრთნელი: კო ადრიანსე

პეტრჟალკა: ჩობეი, ბურაკი (ჰალენარი 46), ბორბელი, დურიცა ურბანეკი, ბლაშჩაკი, დებნარი, პეტრასი (სტანო 79), კოზაკი, ჰოდრეკი, ჰარტიგი (ობზერა 84)

მწვრთნელი: ვლადიმირ ვეისი

გაფრთხილება: პეტრასი, ჰოდრეკი, კვარეშმა, სტანო, ბოსინგვა, ობზერა, ჰალენარი

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| პეტრჟალკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| რეინჯერსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| პორტუ | 2 | 0 | 0 | 2 | 4:6 | 0 |

## ინგლისი

**ჩემპიონატი**

**XI ტური**

ძოვენთრი 3:1 უოტფორდი

ლიდსი 3:1 დერბი

საუთჰემპტონი 0:0 რედინგი

**I ლიგა. XI ტური**

პორტ ვეილი 2:2 ოლდემი

## იტალია

**სერია B. VI ტური**

ჩეზენა 2:1 რიმინი

## დანია

**I დივიზიონი**

**გადადებული მატჩი**

ფრემი 1:1 ბრიონსჰიოი

# ლიგა ქართული კახა კალაძის და ლევან კობიაშვილის შესრულებით



AFP მილანიდან

ინტერი — რეინჯერსი 1:0. ლუიშ ფიგუ (მარცხნივ) და იან მიურეის პირისპირ

**არც ერთი იყო** მილანელი და არც მეორე გელზენკირხენელი... თანაც, მათ, ჩვენ თუ გვკითხავთ, ძალიან კარგად ითამაშეს, ერთმა ერთ, მეორემ მეორე მხარეს. და ვფიქრობთ, ასე თანამემამულეობსა და ურაპატრიოტიზმის გამო არ მოგვჩვენებია...

თამაში კი იმით გამოდგა საინტერესო, რომ „მილანმა“ ანგარიში უეფას ოფიციალური საინტერნეტო ვებგვერდის თანახმად 25-ე წამზე გახსნა — კლარენს ზეედორფის დარტყმული „შალკეს“ მეკარემ ვერ შეიმაგრა ანუ უხეშად შეცდა და მისდა სამწუხაროდ ჩემპიონთა ლიგის უსწრაფეს გოლთა სიაში მესამე ადგილზე გასული გოლის „თანაავტორი“ შეიქნა. ანგარიში ორი წუთის შემდეგ მასპინძელმა სიორენ ლარსენმა გაათანაბრა, სტატისტიკოსებს კი უკვე ჩამოწერილი ჰქონდათ 60 წამში ჩატეულ გოლთა სია, რომლის სათავეშიც არსენალელი ჟილბერტოა, რომელმაც 2002 წლის 25 სექტემბერს, „პსვ ეინდჰოვენს“ 20,07 წამზე გაუტანა. მეორე გახლავთ „იუვეს“ ვარსკვლავი ალესანდრო დელ პიერო, რომელსაც 1997 წლის 1 ოქტომბერს „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარის დასალაშქრად 20, 12 წამი დასჭირდა.

მაგრამ ჩვენ ჯობს სტატისტიკას თავი დავანებოთ და „აუფშალკეზე“ გამართული „ქართული“ შეხვედრის შესახებ გავაგრძელოთ საუბარი. კერძოდ, მეორე ტაიმში „მილანი“ ისევ დაწინაურდა — უბერებელმა და საოცრად გამძლე ბიომასალისგან შექმნილმა პაოლო მალდინიმ ბურთი დაცვაში იხელთა, „შალკეს“ კარისკენ შუა-მარცხნიდან გაიჭრა, გზად კალაძეს კედელი გაუთამაშა, მეტოქეს ბურთი არ დაანება, დაბზრიალდა და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ანდრეი შევჩენკომ თავისი საქმე ისე შეასრულა, ფრიადოსანს, რომ შეეფერება. მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა ამაზე პასუხი მასპინძლებსაც ჰქონდათ და ეს მოედანზე ახალშესული ალტინტოპის საუცხოო დარტყმა გამოდგა. ეს გახლდათ სხარტი, ზუსტი და ყოვლმხრივ შემკული დარტყმა. და კიდევ კომპლიმენტი „მილანის“ ბრაზილიელ მეკარე დიდას, რომელმაც ერთი-ორჯერ მტრის გულის გასახეთქად უმშვიდესი და უმტკიცესი სტილით მოიგერია გელზენკირხენელთა გამოსროლილი.

რაკიღა ზემოთ სტატისტიკა და სტატისტიკოსები ვახსენეთ, ერთხელაც შევეხმიანოთ ამ პატიოსან ხალხს, რომელთაც ბლოკნოტები მაშინაც ააშრიალეს, როდესაც რეალელმა რაულმა ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან შეხვედრაში“ ანგარიში გახსნა და ეს გოლი ესპანელი ვარსკვლავისთვის 50-ე გამოდგა ჩემპიონთა ლიგაში. მაგრამ გაირკვა, რომ „ოლიმპიაკოსისთვის“ რაულის გოლების რაოდენობა სულერთი იყო და ბერძნებმა, კაფესის წყალობით მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში გაათანაბრეს.

მადრიდელებს მოედანზე მოგვიანებით შესულმა თავდამსხმელმა რობერტო სოლდადომ უშველათ. ამ 22 წლის მოთამაშემ შეხვედრის მთლად მიწურულს ჩემპიონთა ლიგაში თავისი პირველი გოლი შეაგდო.

კიდევ, გუშინდელი ღამის თამაშებიდან აღსანიშნავია „პეტრჟალკას“ გამარჯვება „პორტუსთან“ პორტუგალიაში, თან საკმაოდ დრამატული ანგარიშით 3:2 და ინგლისური ჯახაჯუხი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „ლივერპულსა“ და ინგლისის ჩემპიონ „ჩელსის“ შორის, რომელიც უგოლოდ დამთავრდა, თუმცა ყველაფერზე უფრო დაწვრილებით ხვალინდელ „სარბიელში“ გესაუბრებით.

**პაპუნა ძიდია**



AFP გელზენკირხენიდან

შალკე — მილანი 2:2. ჯენარო გატუზო (შუაში) გელზენკირხენელებმა შეავიწროვეს



# ცქიტიშვილი გადანწყვეტილია: კუნთი განწყვეტილია

*ლევან ცქიტიშვილი ტრავმირებულია — გერმანული „ვოლფსბურგის“ ქართველი ლეგიონერი ბუნდესლიგის ბოლო ტურში, ფრანკფურტის „აინტრახტთან“ 1:0 მოგებულ მატჩში პირველი ტაიმის მინურულს დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.*

*ცქიტიშვილის ტრავმა, ცხადია, სამწუხარო ამბავია საქართველოს ნაკრების მწვრთნელ გაიოზ დარსაძისთვისაც. უკვე გადაწყვეტილია: ლევანი 8 და 12 ოქტომბერს ეროვნული გუნდის, შესაბამისად ყაზახეთთან და საბერძნეთთან, თამაშებს გამოტოვებს.*

*ლევან ცქიტიშვილს გუშინ ვოლფსბურგში დავუკავშირდით...*

— „აინტრახტთან“ თამაშის დროს უწყინარ სიტუაციაში დავშავდი და შეცვლა თავადვე მოვითხოვე.

**— კონკრეტულად, რა სახის ტრავმა გაქვს?**

— კუნთი მაქვს გაწყვეტილი.

**— მერე საოპერაციოა?**

— საბედნიეროდ, არა.

**— ექიმებმა რა გითხრეს?**

— ორ-სამ კვირაში თამაში შეგეძლებაო.

**— ესე იგი, ვარჯიშსაც მალე განაახლებ...**

— ეგრეა.

**— მაგრამ ის კი ფაქტია, რომ საქართველოს ნაკრებს ვერ დაეხმარები...**

— სამწუხაროდ, ასეა. ფედერაციის ხელმძღვანელობას და მწვრთნელს ამის თაობაზე უკვე ველაპარაკე და მათაც გამიგეს.

**— „ვოლფსბურგში“ როგორ მიგდის საქმეები, ახალ გუნდს იოლად შეეგუე?**

— კი, ადაპტაცია არ გამჭირვებია, გუნდში თითქმის ყველას ვიცნობდი. საერთოდაც, საკმაოდ მეგობრული გუნდი გვყავს.

**— რაც ბუნდესლიგა დაიწყო, სულ ძირითადში ხარ. „ვოლფსბურგშიც“ ჩვეულ პოზიციაზე, საყრდენად თამაშობ?**

— უფრო მარცხნივ, თუმც იმასაც გააჩნია, რა სისტემით ვთამაშობთ. როგორც წესი, „ვოლფსბურგის“ მწვრთნელ ჰოლგერ ფახს ერთი საყრდენი ნახევარმცველით უყვარს თამაში.

**— ჩანს, ფახს მოსწონხარ. ფაქტობრივად, უკონკურენტო ხარ...**

— ჯერჯერობით ასეა და იმედი მაქვს, ასეც გაგრძელდება. რაც შეეხება ჩემს უკონკურენტობას, ასე ვიტყვი: ჩემი ამპლუის ხორვატი და არგენტინელი ფეხბურთელებიც გვყავს. დანარჩენს კი მწვრთნელი წყვეტს.

**— წლეულს „ვოლფსბურგს“ რა მიზანი აქვს ბუნდესლიგაში?**

— უეფას თასის საგზური გვინდა, მოვიპოვოთ და ვნახოთ, რა გამოგვივა.

**— და გუნდს შესწევს მაგის ძალა?**

— ბუნდესლიგის ჩემპიონატში იოლი თამაშები ნამდვილად არ არის. საკმაოდ ძლიერი და კარგი გუნდები არიან. „ბაიერნზე“ და „შალკეზე“ არაფერს ვიტყვი, ისინი წლეულსაც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებენ. აი, დანარჩენები, მაგალითად, ჩვენ, „ჰერტა“ „ჰამბურგი“, „ლევერკუზენი“, „ვერდერი“, „დორტმუნდი“, ვფიქრობ, თანაბარი დონის გუნდები ვართ. ასე რომ, თუ კარგად ვითამაშებთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**გიორგი მაზაძიძე**

# გია გურული ქართველებს საფრანგეთის კარს უღებს

## ჟირესს ფიფაში საჩივარი შეუტანია



*გია გურული თბილისშია და ლიცენზირებული აგენტობისთვის აუცილებელი გამოცდებისთვის ემზადება. საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცის, ალენ ჟირესის თანაშემწე საფრანგეთში მუშაობს და, ცხადია, ამ ყოველივეს გარდა, გურულს ჟირესის თაობაზეც ვკითხეთ — როგორც იცით, ბატონ ალენს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან კონტრაქტით გათვალისწინებული ხელფას-პრემიალურები აქვს ასაღები და, აი, სიახლეც: ჟირესს ფიფაში საჩივარი შეუტანია...*

*გურულთან სხვა საინტერესო საკითხებზეც ვილაპარაკეთ...*

— საფრანგეთის ქვედალიგელ კლუბ „დანკერში“ ვმუშაობ. ამ გუნდში ერთხანს ვთამაშობდი კიდეც, თუმცა მაშინ „დანკერი“ მეორე დივიზიონში გამოდიოდა, ახლა კი უფრო ქვევითაა დაშვებული. ასე ვთქვათ, მრჩეველი ვარ, მთავარ მწვრთნელს შემტევი კომპონენტის დახვეწაში ვეხმარები. ამავდროულად, „დანკერის“ 14-15 წლამდე ასაკის ბავშვებსაც ვწვრთნი.

**— აგენტობა რატომ გადაწყვიტეთ?**

— მინდა, 18 წლის და უფროსი ასაკის ფეხბურთელებს საფრანგეთის კარი გავუღო. იქ უფრო დაღვინდებიან და, ბუნებრივია, ეს საქმე ქართულ ფეხბურთს ძალიან წაადგება.

**— შეგულებული თუ გყავთ რომელიმე ფეხბურთელი და რომელ ფრანგულ კლუბში აპირებთ მათ მოწყობას?**

— დასამალი რა არის, ერთ-ერთი უძლიერესი ფრანგული გუნდის მესვეურებმა მითხრეს, ფეხბურთელები შეგვირჩიეო. ჩემი საქართველოში ჩამოსვლის მისია ესეც იყო, შეგულებული მყავდა ერთი-ორი მოთამაშე, მაგრამ მათი კლუბებისგან უარი მივიღე. მესმის, ეს ქართული კლუბები მომავალზე აკეთებენ აქცენტს და არავის გაშვება არ უნდათ. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი ვერც ფრანგულ, ვერც ქართულ გუნდს და ვერც ფეხბურთელის სახელს. ბუნებრივია, სხვებსაც ვაკვირდები...

**— თქვენი შვილი, სანდრო ისევ „ლიონის“ მეორე გუნდშია? ზაფხულში თქვით, შესაძლოა, კლუბი გამოიცვალოსო...**

— დიახ. შვილის შექება მეუხერხულება, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა მითხრა, სანდროს იმედი გვაქვსო. სხვათა შორის, სანდროსთვის დაურეკავს ერთ მენეჯერს. გუშინ მეც დამიკავშირდა და მკითხა, ესპანეთის ვარიანტი ხომ არ გაინტერესებთო. ცხადია, თანხმობა მივეცი. ავწონ-დავწონით და მერე გადავწყვეტთ.

**— ალენ ჟირესზეც ვთქვათ: რას ამბობს იგი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან მისაღები თანხის თაობაზე?**

— ვიცი, რომ ჟირესმა ფიფაში შეიტანა საჩივარი და ეს ორგანო გადაწყვეტს, რა როგორ იქნება. როგორც ვიცი, ალენს ფედერაციისგან თანხა არ მიუღია. იურიდიული საკითხებისა ბევრი არაფერი გამეგება და ვერ გეტყვით, რა სტადიაშია საქმე.

**— როგორ იხსენებს ჟირესი საქართველოს, ისევ ნაწყენია?**

— პირიქით, ნოსტალგია შეპყრობია. თბილისში გამოფრენამდე ერთი დღით ადრე დამირეკა და მითხრა, რა ბედნიერი ხარ, საქართველოში რომ მიდიხარო. რატომ ვარ ბედნიერი-მეთქი, შევეკითხე და მიპასუხა, იქაურობა მომენატრა, ყველასთან მოკითხვას გაბარებო. საქართველოში ჩამოსვლა შევთავაზე, მაგრამ ძალიან დაკავებული ვარო, მითხრა.

**— ჟირესი რომელიმე კლუბში ან ნაკრებში მუშაობას ხომ არ აპირებს?**

— ალენს ამას წინათ რომ ველაპარაკე და მითხრა, სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ნაკრებებიდან მაქვს წინადადებებიო. ჯერჯერობით ამ შემოთავაზებებს არჩევს. არ უნდა ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება, რომ მერე სანანებელი არ გაუხდეს.

**ილია ნანოგაშვილი**


თქვენი ინტერვიუ

ალექსანდრე იაშვილთან

«ფრაიბურგი» გერმანია

*ხომ გაინტერესებთ, რა ხდება დღეს ნაკრებში და რას ფიქრობს გუნდიდან წასული ალექსანდრე იაშვილი? ჰოდა, მცირე შესვენების შემდეგ ჩვენი რუბრიკა ისევ „ფორმაშია“: გერმანული „ფრაიბურგის“ კაპიტანი უკვე ელის თქვენთვის საინტერესო კითხვებს, რომლებიც 30 სექტემბრამდე უნდა მოგვაწოდოთ.*

*ასე რომ, იაქტიურეთ...*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net




# დიდი და პატარა მსაჯები

ორიოდ დღის წინ იმ მსაჯების ვინაობა გამცნეთ, რომლებიც საქართველოსა და ყაზახეთის ეროვნულ ნაკრებთა მატჩს განსჯიან — „მიხეილ მესხის" დისკვალიფიცირებულ, ანუ ცარიელ სტადიონზე გუნდებს ფინელები, იონი ჰიიპია (არბიტრი), ესა ვევილაინენი, იანე ივანაინენი (ორივე ასისტენტი) და ტონი ასუმა (სათადარიგო არბიტრი) გაუძღვებიან.

გუშინ კი საქართველოსა და ყაზახეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის მსაჯებიც გაირკვნენ. ისინი აზერბაიჯანელები არიან: იმანჰან სულთანი (არბიტრი), ილჰამ ალიევი, აზად ჰუსეინოვი (ორივე ასისტენტი) და ბუსალ ალიევი (სათადარიგო არბიტრი).

და ერთიც: ჯერჯერობით გაურკვეველია, სად უმასპინძლებს ყაზახებს კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სავარაუდო სარბიელად ბოლნისის „თამაზ სტეფანიას" სახელობის სტადიონი შეურჩევია, თუმც ეს საკითხი საბოლოოდ უახლოეს ხანში გადაწყდებაო, გვითხრეს.

**გიორგი გაზააძიძე**

# თან არის, თან არ არის

## დინამო: კახა ცხადაძეს ვარჯიშზე ექიმი არ უშვებს



ბადრი კეთილაძის ფოტო

**კახა ცხადაძის** გადადგომა-არგადადგომაზე თუ გათავისუფლება-წასვლაზე საუბარი ყოველდღიურ თემად იქცა. ფაქტი ისაა, რომ ცხადაძე ოფიციალურად ჯერაც „დინამოს" მთავარი მწვრთნელია.

გუშინდელ „სარბიელში" ვწერდით, რომ დინამოელთა ვარჯიშს ზაურ სვანაძე და კახა კაჭარავა უძღვებოდნენ, ცხადაძეს კი „ბორჯომთან" წაგების შემდეგ წვრთნა არ ჩაუტარებია.

„დინამოს" პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ გუშინ ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა: „სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა დღეს გაიმართა, თუმცა კახა ცხადაძის გათავისუფლების თაობაზე საუბარი არ ყოფილა. როგორც იცით, „ბორჯომთან" თამაშის შემდეგ მას წნევა აწუხებს და ექიმებმა ურჩიეს, სამი-ოთხი დღე ვარჯიშის ჩატარებისგან თავი შეიკავოს. საქმე ისაა, რომ ცხადაძე მაქსიმალურად იტვირთება წვრთნებზე, ნერვიულობს და ამიტომაც, „დინამოს" დროებით კაჭარავა და სვანაძე ავარჯიშებენ".

ასეთია გუშინდელი ინფორმაცია, თუმც საკითხავია, რა იქნება ხვალ...

**ილია ნანობაშვილი**

## თვალი თვალი



ბადრი კეთილაძის ფოტო

*თბილისის „დინამოზე" ახლა ბევრი ტყუილ-მართალი ისმის და ეს ყველაფერი გუნდის ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს მოჰყვა.*

*აი, მარცხდაჩვეული დინამოელები: სანდრო იაშვილს მისივე თანაგუნდელი ვლადიმერ დვალიშვილი ანუგეშებს — ცხოვრება გრძელდება...*

*სექტემბერში ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში სამი ტური გაიმართა და „ბორჯომის" 20 წლის ნახევარმცველი რევაზ გეწაძე სამჯერვე მოხვდა „სარბიელის" სიმბოლურ ნაკრებში. თვის საუკეთესო ფეხბურთელადაც ის მივიჩნიეთ, თუმც არა მხოლოდ ამიტომ — წინა ტურში გეწაძემ ჩინებული და გადამწყვეტი გოლი გაუტანა თბილისის „დინამოს" და ის მატჩი ბორჯომელებმა 2:1 მოიგეს. გეწაძესთან საუბარიც იმ მატჩით დავიწყეთ...*



რევაზ გეწაძემ (№19) „დინამოსთან" მატჩში ულამაზესი გოლი გაიტანა

# სექტემბრის საუკეთესო სექტემბრის ერთ-ერთ საუკეთესო გოლზე

## რევაზ გეწაძე: ნაკრებში ჩემი არგამოძახების მიზეზი, ალბათ, სხვაა...

**— დინამოსთან" გადამწყვეტი გოლი შეაგდე მატჩის ბოლო წუთებზე, თანაც ძალიან ლამაზი — ამ თამაშს შენს კარიერაში საუკეთესოდ მიიჩნევ?**

— გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი გოლი კი გავიტანე, თუმცა საუკეთესოდ ამ მატჩში არ მითამაშია. მაგრამ, მეორე მხრივ, მთავარი ისაა, რომ ამ გოლით მოვიგეთ და, თუ კონკრეტულად ამას მივიღებთ მხედველობაში, შესაძლოა, ეს მართლაც საუკეთესო მატჩი იყო ჩემ კარიერაში.

**— როგორ ფიქრობ, რა იყო მთავარი, რის ხარჯზეც „დინამოს" დამარცხება მოახერხეთ?**

— ტაქტიკურად სწორად ვითამაშეთ, კონტრშეტევებზე ავაგეთ თამაში, თანაც „დინამოს" ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი აკლდა. „ბორჯომი" „დინამოზე" ძლიერი გუნდიაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ იმ კონკრეტული მატჩისთვის ჩვენ უკეთ მოვემზადეთ და გავიმარჯვეთ.

**— „დინამოში" „თბილისიდან" წინა სეზონში, თებერვალში მიხვედი, მაგრამ მალევე წამოხვედი იქიდან. რატომ?**

— „დინამოში" მაშინ ბევრმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი და იქ დარჩენა ამიტომაც ვიუარე. თავის გამოჩენის შანსს არ მაძლევდნენ, მე კი „დინამოში" სათადარიგოთა სკამზე ჯდომას სხვა გუნდის ძირითადში თამაში მერჩივნა — მარტო ვარჯიშით ვერ მოვუმატებდი და ისევ „თბილისში" დავბრუნდი.

**— რევაზ გეწაძე ქართულმა საფეხბურთო სამყარომ „თბილისში" თამაშით გაიცნო...**

— „თბილისის" მწვრთნელი გიორგი დევდარიანი მენდობოდა, ძირითადში მათამაშებდა და მან დიდი როლი ითამაშა ჩემს წინსვლაში.

**— ამ სეზონისთვის „ბორჯომში" გადახვედი და ახალგაზრდულ ნაკრებში აღარ გიწვევენ — როგორ ფიქრობ, რა არის ამის მიზეზი?**

— ახლა უწინდელზე ოდნავ უკეთ ვარ მომზადებული და ნაკრებში არგამოძახების მიზეზებზე ნამდვილად ვერაფერს გეტყვით.

**— ნაკრებში მას შემდეგ აღარ გიწვევენ, რაც გუნდი კობა ჟორჟიკაშვილს ჩააბარეს — ამ მწვრთნელის ხელმძღვანელობით ადრე გითამაშია კიდეც...**

— ჰო, მაგრამ მიზეზს მაინც ვერ ვხვდები. ითქვა, რომ ახალგაზრდული ნაკრების გაახალგაზრდავებას აპირებენ, მაგრამ იქ ახლა ჩემზე უფროს ფეხბურთელებსაც იწვევენ. თანაც მე ასაკით მომდევნო შესარჩევ ციკლშიც შემიძლია თამაში. ჩემი არგამოძახების მიზეზი, ალბათ, სხვაა...

**— „ბორჯომს" დავუბრუნდეთ — „დინამოსთან" გამარჯვებამ იმდენი რწმენა შეგძინათ, რომ ჩემპიონობისთვის იბრძოლოთ?**

— ჩვენ ორი თვის წინ შექმნილი გუნდი ვართ და ჩემპიონობაზე ფიქრი ცოტა ზედმეტი იქნება. „ბორჯომი" საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს.

**— ცაცია ხარ და „ბორჯომში" მარჯვენა ფლანგზე თამაშობ...**

— ეს ხელს არაფერში მიშლის, მარჯვენა ფლანგიდან ცაციათი შუისკენ კარგად შევდივარ.

**— „დინამოსთან" საგოლე რეიდიც ცენტრიდან დაიწყე — ბურთის მიღებისთანავე განზრახული გქონდა ეს რეიდი, თუ გადაწყვეტილება სიტუაციის მიხედვით მიიღე?**

— ბურთს მოედნის ცენტრში დავეუფლე, ერთ მეტოქეს რომ გავცდი, გადაწყვეტილებაც მერე მივიღე — ჩემ წინ მხოლოდ რევაზ ქემოკლიძე იყო, პასზე აღარც მიფიქრია, მხოლოდ გოლის გატანაზე ვფიქრობდი...

**დავით თავართქილაძე**


# განცხადება

„ს.კ. ბარსელონა" (ესპანეთი) ტალანტების მოძიების პროგრამის ფარგლებში

„აბრეშუმის გზის კორპორაცია" ატარებს ახალგაზრდა ფეხბურთელების შერჩევას, დაბადებულნი 1988, 89/90, 91/92, 93/94, 95/96, 97/98, 99/2000 წლის ჩათვლით.
რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია 26 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.
მსურველებს გთხოვთ, მობრძანდეთ მ. მესხის სახელობის სტადიონზე, ჭავჭავაძის 74-ში 11:00 საათიდან 16:00 საათამდე, ცენტრალური ლოჟის მე-2 სართულზე.
გთხოვთ, თან იქონიოთ მშობლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი და ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 23 04 58, მობ.: 899 55 98 55.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

## სექტემბრის მიმოხილვა

# ბორჯომის ჰეთ თრიქი

## საქართველოს ჩემპიონატი დაიგაზა

*„სარბიელი“ ახალ ტრადიციას აგრძელებს და ამჯერად საქართველოს მე-17 ეროვნული ჩემპიონატის სექტემბრის მიმოხილვას გთავაზობთ.*

*წინა, აგვისტოს საუკეთესო ფეხბურთელი თბილისის „ამერის“ მცველი ვახტანგ ხვადაგიანი გახდა და საინტერესოა, რომ პირველი ლიგიდან უმაღლესში წლეულს გადმოსულთა „ჰეგემონია“ ისევ გრძელდება — სექტემბერში ყველაზე უკეთ „ბორჯომის“ ნახევარმცველმა რევაზ გენაძემ იბურთავა და, ბუნებრივია, საუკეთესოდაც ის ვცანით.*

*გარდა ამისა, ბორჯომელებმა კიდევ ორ ნომინაციაში იპირველეს: „სარბიელის“ ვერსიით, სექტემბრის საუკეთესო მწვრთნელი სოსო ფრუიძეა, ხოლო გუნდი „ბორჯომი“...*



ვაჟიკო კოშორიძის ფოტო

| გუნდი | ქალაქი/სტადიონი | თამაშების რაოდენობა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|
| ამერი | თბილისი/ამერი | 1 | 9,1 |
| ტორპედო | ქუთაისი/ტორპედო | 1 | 8,3 |
| ზესტაფონი | ზესტაფონი/ცენტრალური | 1 | 8,3 |
| კახეთი | თელავი/გ. ჩოხელი | 2 | 8,2 |
| დინამო | თბილისი/ეროვნული | 2 | 7,9 |
| სიონი | ბოლნისი/თ. სტეფანია | 1 | 7,5 |
| სოხუმი | თბილისი/შევარდენი | 1 | 7,5 |
| თბილისი | თბილისი/ოლიმპი | 2 | 7,3 |
| ბორჯომი | თბილისი/ოლიმპი | 1 | 6,6 |
| ვიტ ჯორჯია | მცხეთა/არმაზი | 1 | 6,6 |
| სპარტაკი | თბილისი/შევარდენი | 1 | 6,1 |
| კოლხეთი | ფოთი/ფაზისი | 2 | 6,0 |
| ლოკომოტივი | თბილისი/მ. მესხი | 2 | 5,6 |
| დილა | გორი/თ. ბურჯანაძე | 2 | 5,6 |
| ბათუმი | ბათუმი/დინამო | 2 | 5,5 |
| ცხინვალი | გორი/ქართლი | 1 | 4,5 |

### სიმბოლური ნაკრები

გიორგი ძორიძე (ბორჯომი)
ჯაბა დვალი (სიონი)
კობა მიქუჩაძე (სიონი)
რევაზ გენაძე (ბორჯომი)
დავით სირაძე (ლოკომოტივი)
დავით გოლქვაძე (სიონი)
პავლე დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია)
დავით იმედაშვილი (ვიტ ჯორჯია)
ვახტანგ ხვადაგიანი (ამერი)
გიორგი მეგრელიშვილი (ბორჯომი)
გრიგოლ ჭანტურია (ლოკომოტივი)

გუნდი: ბორჯომი

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

### სტატისტიკური ახსნა-განმარტებები

სასექტემბრო ტურებში 23 მატჩი ჩატარდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთი ფრე არ დაფიქსირებულა.

ხომ ხედავთ, როგორ ვითარდება საქართველოში შემტევი ფეხბურთი...

⚽ ⚽ ⚽

სექტემბრის 23 მატჩიდან 13 დასრულდა ანგარიშით 1:0.

საერთოდ, სექტემბერი რისი სექტემბერია, ერთით ნულმა თუ არ იერთითნულა...

⚽ ⚽ ⚽

ამ თვეში ყველაზე მეტი გოლი ორმა გუნდმა გაიტანა — „ბორჯომმა“ და „სიონმა“ 8-8 ბურთი უსახსოვრეს მეტოქეებს.

მიზეზი იოლი მოსაძებნია: ორივე გუნდი იმ ქალაქიდანაა, რომელთა სახელიც „ბო“-ზე იწყება — ბორჯომი და ბოლნისი — ასე რომ.

⚽ ⚽ ⚽

გუნდი, რომელსაც საერთოდ არ გაუხედავს მეტოქის კარისკენ, „ცხინვალია“ — ზედიზედ სამი მატჩი და არცერთი გატანილი გოლი.

არ გეგონოთ, ეს პოლიტიკის ამბავი იყოს, თორემ მაშინ ხომ სოხუმის „დინამოც“ ვერ გაიტანდა?!

⚽ ⚽ ⚽

ორად ორი გუნდია, სექტემბერში გოლი რომ არ გაუშვიათ — „ლოკომოტივი“ და „ვიტ ჯორჯია“.

სხვანაირად არც შეიძლება იყოს: ორივეს ხომ ოთხ-ოთხი გოლი აქვს გატანილი...

⚽ ⚽ ⚽

აბა, რითი ჰგავს „ლოკომოტივი“, „ვიტ ჯორჯია“, „ამერი“ და „თბილისი“ ერთმანეთს? პასუხი: ამ გუნდებმა სასექტემბრო ცხრილშიც ის პოზიცია დაიკავეს, რომელზედაც საერთო ცხრილში არიან.

მიზეზი? ოთხივე თბილისის გუნდია და, აბა, როგორ...

⚽ ⚽ ⚽

სექტემბრის საუკეთესო მწვრთნელად სოსო ფრუიძე დავასახელეთ.

ალბათ, მიხვდებოდით, რატომაც: სექტემბერი და სოსო მსგავსები ხომ ნახეთ?

ჰოდა, ოქტომბერში მიგვილოცია ოთარ გაბელიასთვის და ეგ არის.

⚽ ⚽ ⚽

სექტემბრის სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე მეტი, სამ-სამი ფეხბურთელი „ბორჯომს“ და „სიონს“ ჰყავს.

კი გვინდოდა, მთლად ასე არ მომხდარიყო და სხვა გუნდებიც დაგვეწინაურებინა, მაგრამ ლიდერები ესენი არიან და ამბობენ, ყველაზე კარგადაც თამაშობენო... ჩვენთან კი ჩაწყობები არ მოსულა...

ისლა დაგრჩენიათ, ითამაშოთ!

### სექტემბრის ანგარიშები

**მეხუთე ტური**

9 სექტემბერი, პარასკევი

სოხუმი 1:2 სიონი

10 სექტემბერი, შაბათი

დილა 0:1 ამერი

ბათუმი 0:1 ლოკომოტივი

კოლხეთი 1:0 ტორპედო

კახეთი 1:0 სპარტაკი

ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია

დინამო 1:0 ცხინვალი

11 სექტემბერი, კვირა

თბილისი 0:5 ბორჯომი

**მეექვსე ტური**

16 სექტემბერი, პარასკევი

სპარტაკი 1:0 თბილისი

17 სექტემბერი, შაბათი

ამერი 1:0 ცხინვალი

ბორჯომი 1:0 ზესტაფონი

სიონი 4:1 კახეთი

ტორპედო 4:2 სოხუმი

დილა 2:0 ბათუმი

18 სექტემბერი, კვირა

ვიტ ჯორჯია 1:0 დინამო

ლოკომოტივი 2:0 კოლხეთი

**მეშვიდე ტური**

24 სექტემბერი, შაბათი

დინამო 1:2 ბორჯომი

25 სექტემბერი, კვირა

ბათუმი 1:0 ამერი

კოლხეთი 2:1 დილა

ლოკომოტივი 1:0 სოხუმი

ცხინვალი 0:3 ვიტ ჯორჯია

კახეთი 1:0 ტორპედო

ზესტაფონი 1:0 სპარტაკი

26 სექტემბერი, ორშაბათი

თბილისი 1:2 სიონი

### სასექტემბრო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| სიონი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| ლოკომოტივი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ამერი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 6 |
| კოლხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| კახეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| ტორპედო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| დილა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ზესტაფონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| სპარტაკი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | 3 |
| ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| სოხუმი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |
| ცხინვალი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |
| თბილისი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

### საერთო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 7 | 6 | 1 | 0 | 14:4 | 19 |
| ბორჯომი | 7 | 6 | 0 | 1 | 14:4 | 18 |
| ლოკომოტივი | 7 | 5 | 2 | 0 | 10:2 | 17 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 |
| ამერი | 7 | 4 | 1 | 2 | 6:5 | 13 |
| ზესტაფონი | 6 | 4 | 0 | 2 | 5:3 | 12 |
| კოლხეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 5:6 | 12 |
| დინამო | 7 | 3 | 1 | 3 | 7:6 | 10 |
| ბათუმი | 7 | 3 | 1 | 3 | 3:4 | 10 |
| დილა | 7 | 3 | 0 | 4 | 7:7 | 9 |
| კახეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 6:10 | 9 |
| ცხინვალი | 7 | 2 | 0 | 5 | 4:8 | 6 |
| ტორპედო | 7 | 1 | 1 | 5 | 4:8 | 4 |
| სპარტაკი | 7 | 1 | 1 | 5 | 1:5 | 4 |
| სოხუმი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:14 | 4 |
| თბილისი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:14 | 0 |

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი II ტური

## როგორც მოსალოდნელი იყო

**A ჯგუფი**

**იუვენტუსი 3:0 რაპიდი**

1:0 ტრეზეგე (27), 2:0 მუტუ (82), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (85)
იუვენტუსი: აბიატი, პესოტო, ტურამი, კანავარო,ძამბროტა, კამორანეზი (მუტუ 65), ჯანიკედა (ბლაზი 84), ემერსონი, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე (დელ პიერო 60)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
რაპიდი: პეიერი, ვალახოვიჩი, დობერი (მარტინესი 76), ბეიბლი, ადამსკი, ხოფმანი, კორსოში, ფლიჩა, ივან შიტცი, კინსლი, აკაგუენდესი (ლოური 53)
მწვრთნელი: იოზეფ ჰიკერსბერგერი
გაფრთხილება: ვალახოვიჩი
მსაჯი: მარტინ ჰენსონი (შვედეთი)
11 156 მაყურებელი

**„იუვენტუსს“** სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში ასპროცენტიანი შედეგი აქვს და, როგორც ჩანს, ტურინელები იგივეს მიღწევას ჩემპიონთა ლიგაშიც აპირებენ. „რაპიდთან“ შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო პატრიკ ვიეირამ გამოტოვა. ამან ჯულიანო ჯანიკედას საშუალება მისცა, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრილიყო. დაბრუნდა ჯანლუკა პესოტო და სასტარტოში ალექს დელ პიეროს ადგილი აღარ დარჩა. წინა ხაზში ტრეზეგე და იბრაჰიმოვიჩი განამწესეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, „იუვენტუსმა“ აგრესიულად დაიწყო. იბრაჰიმოვიჩმა ორჯერ დაარტყა სახიფათოდ. ერთხელ მეკარემ ივარგა, მეორედ ოდნავ ასცდა კარს. ათი წუთის შემდეგ ემერსონის დარტყმულმა ძელს საღებავი ააცალა. ცოტა ხანში კი ტრეზეგემ პესოტოს დაკიდებულს თავი უხეიროდ წაჰკრა. ამასობაში ავსტრიელებმაც გამოიჩინეს ბრჭყალები. აკაგენდესს ჰქონდა ხელსაყრელი მომენტი.

ტურინელთა მონდომებამ ნაყოფი 27-ე წუთზე გამოიღო. შეტევა იბრაჰიმოვიჩმა წამოიწყო, ბურთი ძამბროტას გადააწოდა, მან ტრეზეგეს და 1:0. პაველ ნედვედმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ კამორანეზის ანგარიში გაეზარდა, მაგრამ ბოლო მომენტში ის ბურთს ველარ მისწვდა.

შესვენების მერე ავსტრიელებმა სცადეს თამაშის შემობრუნება. შეცვლაზე შესულმა ლავარიემ კრისტიან აბიატი ორჯერ აიძულა, თამაშში ჩართულიყო, ერთხელ კი მისი დარტყმული ოდნავ გადასცა ხარიხას.

მესამოცე წუთზე კაპელომ ცვლილება განახორციელა, ტრეზეგეს ნაცვლად მოედანზე დელ პიერო გამოვიდა. როგორც ჩანს, ალექსი სათადარიგო სკამზე ჯდომას შეჩვეის.

ამის შემდგომ თამაშმა ოდნავ ქაოტური სახე მიიღო, ჯერ იყო და ემერსონმა ააფორიაქა რაპიდის მცველები, მერე ავსტრიელებმა უპასუხეს ლავარიემ ტიურამის შეცდომით ისარგებლა. ჰინკას კედელი გაითამაშა და მის ჩამოწოდებულს საჯარიმოში დახვდა. თუმცა იქ აბიატი იდგა ურყევად. ტურინელებმა მალევე უპასუხეს. იბრაჰიმოვიჩმა „ილორა“, თორემ დელ პიეროსთვის რომ დაეგორებინა, ვინ იცის, ანგარიში მაშინვე გაზრდილიყო. ამას იმავე იბრაჰიმოვიჩისა, დელ პიეროსა და პაველ ნედვედის გაფუჭებული მომენტები მოჰყვა.

საბოლოოდ კამორანეზის ნაცვლად შემოსულმა ადრიან მუტუმ იხეირა (2:0). ეს მისი, „იუვენტუსის“ მაისურით გატანილი პირველი ბურთია. იბრაჰიმოვიჩმაც „დაუფასა“ გარეჯა, შვედმა შეხვედრაში წერტილი დასვა (3:0) და თავისი უგოლო სერიაც შეწყვიტა.



AFP მიუნხენიდან

პაულო გერეროს (შუაში) „ბაიერნმა“ კვალ მინიმალური სხვაობით იმარჯვა

**ბაიერნი 1:0 ბრიუგე**

1:0 დემიკელისი (32)
ბაიერნი: კანი, ლუსიო, სანიოლი, ისმაელი, ლიზარაზუ (მოლი 53), შვაინშტაიგერი, დემიკელისი, ზე რობერტო, ბალაკი (იერემიესი 83), გერერო (სანტა კრუზი 72), მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ბრიუგე: ბუტინა, დე კოკი, მარტენსი, ვანდელანოიტი, დუფერი, ენგლებერტი (როელანდტსი 85), ვერმანტი, ბლონდელი, ვერჰეიენი (მატონდო 76), ლეკო (პორტილიო 68), ბალაბანი
მწვრთნელი: იან კულემანსი
გაფრთხილება: ბალაკი, ვერმანტი, ვანდელანოიტი, სანიოლი
მსაჯი: ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)
65 527 მაყურებელი

**მიუნხენურმა** გრანდმა მეორე მატჩიც მოიგო. ეს „ბაიერნის“ პირველი შეხვედრა იყო „ალიანს არენაზე“ ჩემპიონთა ლიგაში. ორივე შეხვედრა ბავარიელებმა 1:0 მოიგეს. ერთის მხრივ, „ექვსი ქულა კარგია, მეორეს მხრივ, „რაპიდი“ და „ბრიუგე“ „ბავარიამ“ ცოტა უფრო დამაჯერებლადაც უნდა დაამარცხოს. ერთადერთი გოლი ამ შეხვედრაში არგენტინელი დემიკელისის ანგარიშზეა. არა, მიუნხენელები კი ქმნიდნენ მომენტებს, მაგრამ არც ისე, რომ..

მოკლედ, „ბაიერნსაც“ ექვსი ქულა აქვს და „იუვენტუსსაც“. ყველაზე საინტერესო კი ამ ჯგუფში ამ გუნდების უშუალო დაპირისპირება იქნება.

**ზურაბ გოცირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ბრიუგე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| რაპიდი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

**B ჯგუფი**

**აიაქსი 1:2 არსენალი**

0:1 ლიუნგბერგი (2), 0:2 პირესი (69პ), 1:2 როსენბერგი (71)
აიაქსი: ვონკი, გრიგერა, დერმაელენი, დე იონგი, ემანუელსონი (ხუანფრანი 85), გალაშეკი, ლინდენბერგი, პიენაარი, ბუხარი (მანუჩარიანი 70), ხარისტიასი (როსენბერგი 55), ბაბელი
მწვრთნელი: დენი ბლინდი
არსენალი: ალმუნია, ტურე, ლორენი, ს. კემპბელი, ეშლი კოული, გლები (სიგანი 90), ფაბრეგასი, ფლამინი, პირესი (კლიჩი 88), ლიუნგბერგი, რეიესი (აბეიე 81)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: გრიგერა, ტურე, პიენაარი, ვონკი, გალაშეკი, ალმუნია
მსაჯი: მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
48 000 მაყურებელი

## სუპერია!

**ფრედერიკ ლუნგბერგმა** მე-80 წამზე გაიტანა, რამაც „აიაქსი“ კალაპოტიდან ოდნავ ამოაგდო. ამსტერდამელებმა მერე ჯიგრიანად კი შეუტიეს და მომენტებიც ბლომად ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ მაშინ შეძლეს ერთის გაქვითვა, როცა „არსენალი“ უკვე ორბურთიანი სხვაობით იგებდა.

დენი ბლინდი: „ამ მატჩში ორი შეცდომა ვნახე. პირველ შემთხვევაში ჩემი ფეხბურთელები შეცდნენ და ლუნგბერგმა გაგვიტანა, ხოლო შემდეგ მსაჯი შეცდა, როა პენალტი დანიშნა. ნამატჩევს განმეორებით ვნახე ის ეპიზოდი. რეიესი მეკარეს გასცდა, მაგრამ ვონკს არ წაუქცევია. ასეთები ფეხბურთში ძალიან ხშირად ხდება. გარდა ამისა, მარცხის ობიექტური მიზეზიც არსებობს — რამდენიმე მთავარი ფეხბურთელი ტრავმის გამო დაგვაკლდა. მომდევნო ორი მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტი იქნება“.

ნაიჯელ დე იონგი: „ტაქტიკურად გამართულად ვითამაშეთ, მაგრამ ორმა შეცდომამ დაგვღუპა. დარწმუნებული ვარ, ფრე უფრო სამართლიანი იქნებოდა“.

არსენ ვენგერი: „თავიდანვე კარგად დავიწყეთ და გოლიც ამის შემდეგ გავიტანეთ. მეორე ტაიმში „აიაქსმა“ გვაჯობა და ორი-სამი ხელსაყრელი მომენტიც შექმნა, თუმც ჩვენც შეგვეძლო, კონტრშეტევებზე გვეხეირა, რადგან მეტოქე გაიხსნა. თანაბარი ბრძოლა იყო, შედეგეით კი, ცხადია, კმაყოფილი ვარ. პირველ ტურში „თუნთან“ ნაღდად გაგვიმართლა, როცა ბოლოწამს გატანილი გოლით მოვიგეთ. შესაძლოა, იღბალი ამჯერადაც ჩვენ გვწყალობდა, მაგრამ ეს ხომ არაა მთავარი? მთავარია, რომ ექვსი ქულით ჯგუფში პირველ ადგილზე ვართ“.

დისკვალიფიცირებული ვან პერსისა და ტრავმირებული ანრის გარეშე მოთამაშე „არსენალი“ ფაქტობრივად შემტევი ნახევარმცველების ამარა დარჩა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამსტერდამში მაინც მოიგო. მეტიუ ფლამინიმ მოედნის ცენტრში მეტოქის პასი ჩაჭრა, ბურთი რეიესს გაუგორა, რომელმაც ლუნგბერგი მონახა და მეკარესთან პირისპირ გასულმა შვედმა წამოწოლილ ვონკს ბურთი ბუცის წვერით გადაავლო — 0:1.

„აიაქსს“ პირველივე ტაიმში შეეძლო, გაეთანაბრებინა, თუმც პიენაარმა ცარიელ კარს ააცილა.

შესვენების მერე რეიესმა პენალტი მონადირა, რომელიც პირესმა გოლად აქცია. ხოლო წუთის შემდეგ როზებრეგმა ძელიდან უკუგდებულ ბურთი ალმუნიას კარში შეაბრუნა.



AFP ამსტერდამიდან

აიაქსი — არსენალი 1:2. ფრედი ლინგბურგმა (უკან) მე-80 წამზე გახსნა ანგარიში

**თუნი 1:0 სპარტა**

1:0 ჰოძიჩი (88)
თუნი: იაკუპოვიჩი, დეუმი, ორმანი (გერბერი 46), მილიჩევიჩი, გონსალვეში, ლეანდრო, ჰოძიჩი, ადრიანო (გელსონი 83), აეგერტერი, ფერეირა, ლუსტრინელი (სენი 79)
მწვრთნელი: ურს შიონენბერგერი
სპარტა: ბლაჟეკი, ჰოსპეჩი, პეტრასი, კადლეცი, კისელი, პეტრუსი, ჰაშეკი, ფელენკა (დოსეკი 84), სიონკო, პოლაჩეკი, სლეპიჩკა (ჰერზანი 60)
მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი
გაფრთხილება: კალდეცი, დეუმი, ჰოზიჩი, პეტრუსი
მსაჯი: ბერტრანდ ლეისი (საფრანგეთი)
30 783 მაყურებელი

**ჩემპიონთა ლიგის** დებიუტანტმა „თუნმა“ პირველი გამარჯვება გაიფორმა. შვეიცარიულმა გუნდმა სელვერ ჰოდჟიჩის ვაჟანი გოლით „სპარტას“ მოუგო. ჰოდჟიჩმა მატჩის ბოლო წუთზე გონსალვეშის პასით იხეირა, პრაღელთა მწვრთნელი იაროსლავ ჰრებიკს კი ამ მარცხის შემდეგ სკამი შეუჯანჯღარეს, რადგან მისი გუნდი შინ ჩემპიონატშიც ცუდად თამაშობს და ევროპაშიც.

მასპინძელთა თავკაცმა ურს შიონენბერგერმა ნამატჩევს განაცხადა: „სუპერია! მხოლოდ ამ სიტყვის თქმა შემიძლია. დიდებული განწყობა იყო სტადიონზე და როცა გოლი გავიტანეთ, დარწმუნებული ვიყავი, მოვიგებდით“.

„თუნი“, რომლის ბიუჯეტიც 4 მილიონი დოლარია, ორი კვირის წინ ლონდონში „არსენალთან“ ბოლოწამს გაშვებული გოლით დამარცხდა და იქ გამოჩნდა, რომ იოლად დასაჩაგრი გუნდი არაა.

„ორი მატჩიდან ერთი მოვიგეთ — განაგრძო შიონენბერგერმა — არადა, ლონდონში ფრის გახერხებაც შეგვეძლო, მაგრამ იღბალმა გვუღალატა. მომდევნო შეხვედრა ამსტერდამში „აიაქსთან“ გვაქვს და მჯერა, რომ უქულოდ არ დავბრუნდებით“.

„სპარტას“ მწვრთნელი იაროსლავ ჰრებიკს გასული კვირასავე სურდა გუნდიდან წასვლა, მაგრამ ფეხბურთელებმა გადაათქმევინეს. „ჯერ არ ვიცი, რა მელის“ — თქვა ჰრებიკმა „თუნთან“ მარცხის შემდეგ.

**მაშა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| თუნი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| აიაქსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სპარტა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი II ტური

## ბარსა შეცდომებს არავის პატიობს

### C ჯგუფი

**ბარსელონა 4:1 უდინეზე**

1:0 რონალდინიო (12), 1:1 ფელიპე (24), 2:1 რონალდინიო (32), 3:1 დეკო (41), 4:1 რონალდინიო (90პ)

**ბარსელონა:** ვალდესი, ბელეტი, ოლეგერი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი, ვან ბომელი (ინიესტა 62), დეკო, მესი (ესკერო 70), რონალდინიო, ეტოო (ლარსონი 81)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკაარდი
**უდინეზე:** დე სანქტისი, ნატალი (ჟუარესი 33), ბერტოტო, ფელიპე, ძენონი, ობოდო, ვიდიგალი, მუნტარი (დი მიკელე 73), კანდელა, დი ნატალე (მაური 51), ბარეტო
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ვიდიგალი, ვიდიგალი, ვან ბომელი, პუიოლი, დი მიკელე
გაძევება: ვიდიგალი (49)
მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)
90 000 მაყურებელი

**კატალონიური** „ბარსელონას“ შეჩერება ფრიად საქმე ჩანს — C ჯგუფის პირველ თამაშში „ვერდერის“ ძლევის მერე სამშაბათს „ბარსამ“ შინაურ „კამპ ნოუზე“ უკვე სერსე კოზმის „უდინეზე“ გაანადგურა. დამხვდურებმა ანგარიში მე-13 წუთზე რონალდინიოს დიდებული საჯარიმო დარტყმით გახსნის, ათ წუთში „უდინემ“ ფელიპეს გოლით ფრე დააფიქსირა, მერე კი თავის არენაზე „ბარსელონა“ გაბატონდა. გუნდის ლიდერმა რონალდინიომ მესის და ეტოოს კომბინაცია მეორე გოლად გარდაქმნა, ხოლო შესვენებამდე ცოტა ადრე დეკოს ასევე ბრწყინვალე საჯარიმო გასროლის წყალობით ტაბლოზე 3:1 აენთო. მეორე ტაიმის მიწურულს რონის შეტევა „უდინეს“ მცველებმა აკრძალული ილეთით შეაჩერეს. ბრაზილიელმა პენალტი უნაკლოდ შეასრულა და იტალიელთა დაღონებულმა გოლკიპერმა დე სანქტისმა უკვე მეოთხეჯერ გამოიტანა ბურთი კარიდან.

ამრიგად, „ბარსამ“ თავის გულშემატკივარს შესანიშნავი თამაშით გაუხარა გული. ინჩასებმა განსაკუთრებით პატაგონიელი ფენომენის, ლეო მესის ოსტატობით იხალისეს.

დამხვდურების პირველი ორი გოლი პრაქტიკულად 18 წლის „მარადონას“ დამსახურება იყო. რონალდინიოს ზემოთ ნახსენები საჯარიმო მესის შეტევას მოჰყვა, მერე კი 24-ე წუთზე ვიდრე ბურთი სამუელ ეტოოსა და მეგოლე რონის მიუვიდოდათ, სწორედ მესიმ ივაჟკაცა. ლეომ იტალიელთა მოთამაშეს ბურთი „მოჰპარა“. წინ გაიჭრა და კამერუნელი ფორვარდი კარგი პასით აჩეირა. აფრიკელმა კი რონალდინიო მოძებნა, ფეხბურთელი, რომელიც 27 სექტემბრის ჯახში დე სანქტისის და მისი დაცვის ყველაზე დიდი მტერი გახლდათ. თამაშის განახლებიდან მცირე ხანში არბიტრმა სტუმრების ნახევარმცველი ვიდიგალი უხეშობისთვის მოედნიდან გააძევა, ასე რომ აპენინელებს „გადარჩენის“ არანაირი შანსი აღარ დარჩათ... „თუ „კამპ ნოუზე“ „ბარსასთან“ მოგება გინდა, შეცდომა საერთოდ არ უნდა დაუშვა. „უდინეზემ“ ეს ვერ შეძლო“ — განაცხადა მატჩის მერე იტალიელების მწვრთნელმა კოსმიმ და თან დაუმატა, კატალონიელებიდან ყველაზე მეტად ლეო მესის ბურთაობა მომეწონაო. „რონალდინიომ საოცარი შეხვედრა ჩაატარა. დეკოც შესანიშნავი გახლდათ, მესიმ კი, მიუხედავად ასაკისა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია გუნდისთვის“ — აღნიშნა ფრანკ რაიკარდმა.



AFP ბარსელონიდან

ბარსელონა — უდინეზე 4:1. რონალდინიომ ჰეთ-თრიქი შეასრულა

**პანათინაიკოსი 2:1 ვერდერი**

1:0 გონსალესი (63), 2:0 მანციოსი (8), 2:1 კლოზე (41)

**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, გუმასი (კოციოზი 41), ვინტრა, მორისი, დარლასი, ნილსონი, კონსეისაო, გონსალესი, სერიჩი, მანციოსი (გეკასი 72), ტორგელი (ტციოლისი 58)
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
**ვერდერი:** რაინკე, ოვომოიელა, ნალდო, ანდრეასონი, შულცი (ვალდესი 75), ფრინგსი, ბაუმანი (ჰანტი 63), ბოროვსკი, მიკუ, კლოზე, კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: კონსეისაო, ფრინგსი, კლასნიჩი, სერიჩი, ანდრეასონი, ტციოლისი, კლასნიჩი
გაძევება: კლასნიჩი (86)
მსაჯი: ერიკ პოლა (საფრანგეთი)
40 000 მაყურებელი

**ალბერტო მალესანის** ელინურმა გუნდმა „ვერდერის“ საბოლოო განაჩენი „აპოსტოლოს ნიკოლაიდისის“ მატჩის პირველ 8 წუთში გამოუტანა. ჯერ ეზეკიელ გონსალესმა შეაგდო, მერე კი ტორგელეს წამოწყებული იერიში ევანგელოს მანციოსმა გოლით დაასრულა. გერმანელებმა მალესანის შეგირდთა წინააღმდეგ ტრადიციულად გააფრენით იბრძოლეს. თუმცა ივან კლასნიჩის გაძევების შემდეგ „პანათინაიკოსმა“ თავისთვის სასარგებლო ანგარიში მაინც შეინარჩუნა. მართალია კლოზემ ერთი ბურთის გაქვითვა მაინც შეძლო — პირველი ტაიმის დასასრულს „ვერდერის“ ფორვარდმა ტორსტენ ფრინგზის პასით ისარგებლა და ელინთა კარი დალაშქრა. შესვენების მერე მასპინძლებში ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი ისევ ეზეკიელ გონსალესი გახლდათ — არგენტინელმა ორჯერ [illegible] კოსების კარის ძელს გაარტყა ბურთი. ბრემენელთაგან კი შეცვლაზე შემოსული ნელსონ ვალდესი გამოირჩეოდა. ოლონდ გალინოვიჩთან პირისპირ შეხვედრისას პარაგვაელმა „პანათინაიკოსის“ გოლკიპერის მოტყუება ვერ შეძლო. ზედიზედ ორი წაგების შემდეგ თომას შააფის გუნდი C ჯგუფის ბოლო ადგილზეა.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| უდინეზე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| პანათინაიკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ვერდერი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

## იღბლიანი ეშმაკები

### D ჯგუფი

**მანჩესტერი 2:1 ბენფიკა**

1:0 გიგზი (39), 1:1 სიმაო (59), 2:1 ვან ნისტელროი (85)

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრედსლი, ფერდინანდი, ოში, რიჩარდსონი, რონალდო, ფლეტჩერი, სმიტი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
**ბენფიკა:** მორეირა, ლუიზაო, ნელსონი, როკა, ლეო, ბეტო (ჟოვანი 86), პეტი, ფერნანდესი (მანტორასი 86), სიმაო, მიკოლი (პერეირა 80), ნუნუ გომეში
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: ლუიზაო, სმიტი, ნუნუ გომეში
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
66 112 მაყურებელი

**„მანჩესტერ იუნაიტედმა“** მოიგო და ჯგუფი ლიდერი გახდა, მაგრამ ასეთი თამაშით მანკუნიანელები შორს ვერ წავლენ. ალექს ფერგიუსონის გუნდს რომ სერიოზული პრობლემები აქვს, ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა. „ოლდ ტრეფორდზე“, სადაც თამაში ყველა ჩასულს ძალიან უჭირს, თითქმის მთელი შეხვედრის მანძილზე უპირატესობას „ბენფიკა“ ფლობდა. ყოველ შემთხვევაში, ლისაბონელები არაფერში ჩამორჩებოდნენ მრისხანე მეტოქეს.

სტუმრები საწყისი წუთებიდანვე გააქტიურდნენ. მოუსვენარმა ფაბრიციო მიკოლიმ მალევე ორი მომენტი გაანიავა. იტალიელმა ჯერ თვითონ აცილა კარს, ხოლო შემდეგ მშვენივრად მოთამაშე ედვინ ვან დერ სარს ვერ აჯობა. მანჩესტერელებს უეინ რუნის არყოფნა აშკარად ეტყობოდათ. „წითელი ეშმაკები“ ჩვეულად სახიფათოდ ვერ უტევდნენ, მაგრამ რამდენიმე მომენტი მაინც შექმნეს. თუნდაც რუუდ ვან ნისტელროის დარტყმა რადლირს, როდესაც მან ფილ ბრედსლის პასი დაამუშავა და ჩინებულად გაისროლა, მაგრამ ხარიხას მოხვდა.

შესვენებამდე 6 წუთით ადრე მასპინძლებმა მაინც შეძლეს ანგარიშის გახსნა. ამაში ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებულ გიგზს იღბალიც დაეხმარა. უელსელის შესრულებულ ჯარიმას რიკოშეტი მოჰყვა და ყოზე მორეირამ უბრალოდ თვალიღა გააყოლა.

პორტუგალიელები არ გატყდნენ და საწადელს მიაღწიეს კიდეც — ალან სმიტმა სიმაო წააქცია და დაზარალებულმაც ჯარიმა თავადვე უზადოდ შეასრულა.




AFP მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ბენფიკა 2:1. რუუდ ვან ნისტელროიმ ჩემპიონთა ლიგაში 35 გოლი გაიტანა

ბოლო წუთებში მომენტები ორივე კლუბს ჰქონდა. ჯერ „ბენფიკა“ გადაურჩა გოლს, ხოლო შემდეგ იმავე სიმაოს ვან დერ სარმა აუღო სახიფათო დარტყმა. საბოლოოდ მაინც „მანჩესტერს“ გაუმართლა. 85-ე წუთზე გიგზმა კუთხური ჩააწოდა, ხოლო რიო ფერდინანდმა ნუნუ გომეშთან ორთაბრძოლაში ბურთის შორეულ ძელთან გადაგზავნა შეძლო, სადაც ვან ნისტელროი გახლდათ... ეს ჰოლანდიელის 35-ე გოლია ჩემპიონთა ლიგაში.

ალექს ფერგიუსონი: „ნისტელროიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი კლასი. იგივე მეთქმის რაიან გიგზზეც, რომლისთვისაც სეზონი მძიმედ დაიწყო, მაგრამ როგორ ითამაშა დღეს თავადაც ნახეთ. ეპიზოდებში არადამაჯერებლად გამოვიყურებოდით, მაგრამ მთლიანობაში ცუდად არ გვითამაშია. მიხარია, რომ „ვილიარეალმა“ საფრანგეთში ქულები დაკარგა“.

„კარაგად ვითამაშეთ — ამბობს „ბენფიკას“ თავკაცი რონალდ კუმანი — ვიცოდით, რომ მეტოქეს ტრავმების გამო პრობლემები აქვს. მანჩესტერელთა დაცვაში ძირითადად ახალგაზრდები არიან და სამი თავდამსხმელით ვიბურთავეთ. ფრე გაცილებით ლოგიკური შედეგი იქნებოდა, მაგრამ... ვფიქრობ, ამ ჯგუფში ჯერ ყველაფერი წინაა“.

**ლილი 0:0 ვილიარეალი**

**ლილი:** სილვა, პლესტანი, ლიხტშტაინერი, პლესტანი, შმიცი, ტაფორუ, დებიუში, მაკუნი, ბოდმერი (დიუმონი 46), აჩიმოვიჩი (დერნისი 84), ოდენვეჟი, მუსილუ (ფავერუე 73)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
**ვილიარეალი:** ვიერა, ალვარესი (როდრიგესი 57), კრომკამპი, პენა, არუაბარენა, ტაკინარდი, ხოსიკო, სორინი (სენა 46), რიკელმე, ფორლანი (გიარე 84), ფიგუეროა
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინო
გაფრთხილება: არუაბარენა, ტაკინარდი, შმიცი
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
35 153 მაყურებელი

**ორივე გუნდმა** აქცენტი შეტევაზე გააკეთა და მომენტები ცოტა იყოო, ვერ ვიტყვით, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ორი ტურის შემდეგ „ვილიარეალის“ და „ლილის“ მეტოქის კარში ჯერაც არც ერთი გოლი არ შეუგდიათ. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ლიგაში თამაშის გამოცდილება აკლიათ. გუნდებს გადამწყვეტ მომენტში სიზუსტე ღალატობდათ და შეტევებს ვერ აგვირგვინებდნენ.

სტუმართა მხრიდან ყველაზე სახიფათო მომენტები ლუსიანო ფიგეროას ჰქონდა. მასპინძლებს კი ერთხელ „ვილიას“ კარის ძელიც შეანჯღრიეს. საბოლოოდ მატჩი ლოგიკური ფრედ დასრულდა და შედეგზე გუნდების მწვრთნელებსაც არ დაუჩივლიათ.

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბენფიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ვილიარეალი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ლილი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

# თუკი ზიდანმა თავი არ დაიზიანა



**ზინედინ ზიდანმა** გამოაცხადა, რომ შვეიცარიის წინააღმდეგ საფრანგეთის ნაკრებისთვის მეტად მნიშვნელოვან შეხვედრაში, მოედანზე იქნება. ამის განცხადება ფრანგ მეგავარსკვლავს საზარდულის ტრავმის გამო დასჭირდა. შემდეგ კი გამოჯანმრთელდა თუ არა, პირველი, რაც მოიმოქმედა, ქომაგები დაამშვიდა. შეგახსენებთ, რომ ზიდანს სულ მცირე სამი-ოთხი კვირით უმოქმედობას უწინასწარმეტყველებდნენ. მან ტრავმა 7 სექტემბერს, წინა სანაკრებო შეხვედრაში, ირლანდიაში მიიღო.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ თამაშს შევძლებ. თუ ბოლოწამს რაიმე ახალი არ შემემთხვევა შვეიცარიასთან მოედანზე ვიქნები. ორშაბათიდან მოყოლებული უკვე დავრბივარ და ბურთს ვარტყამ. მართალია პირველ დღეებში მოკლე პასებზე მეტის უფლება არ მივეცი საკუთარ თავს, მაგრამ არაფერი მტკენია და ამან გამახარა. ახლა ვნახოთ რა იქნება, კვირას „რეალის" შემადგენლობაში „მალიორკას" წინააღმდეგ უნდა ვითამაშო. ამ მატჩს პლუს ნაკრებთან ხუთ-ექვს დღიანი ვარჯიში ვგონებ შვეიცარიისთვის მომამზადებს. ყველაზე მეტად ახლა იმაზე ვზრუნავ, საკუთარი თავი რომ არ გადავტვირთო და არ დავვაშაო"

ფრანგის ნაადრევი გამოჯანმრთელებით ბედნიერი იყო „რეალის" მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგოც.

„ექიმებმა მითხრეს, რომ ზიდანი კარგად არის. ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „ოლიმპიაკოსთან" ძირითად შემადგენლობაში ცხადია ვერ დავაყენებ, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე უეჭველად იჯდება და სულ 20 წუთით რომ გახდეს საჭირო, მოედანზე შევუშვებ" — განაცხადა ლუშემბურგომ.

**ბაჩუნა ძიძია**

# კაიზერ ფრანცი ფეხბურთს სიკვდილისგან იცავს



**ფრანც ბეკენბაუერმა** ელექტრონულჩიპებიანი ბურთების წინააღმდეგ გაილაშქრა.

„დაანებეთ ფეხბურთს თავი და დატოვეთ იგი ისეთი, როგორიც არის. დარწმუნებული ვარ, ბურთში ჩიპის ჩამონტაჟება სპორტის ამ სახეობას დაასამარებს, ანაც ფეხბურთში კამათი, სადავო სიტუაცია და ერთი სიტყვით სიცოცხლე აღარ იქნება" — გუნუცხადა გალიზიანებულმა კაიზერმა თანამემამულე „ბილდის" კორესპონდენტს.

„დაელექტროებული ბურთით" უკვე თამაშობენ. თანამედროვე ტექნიკის სიახლე პერუში მიმდინარე ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე დანერგეს. ჩიპმა მოედანზე სადავო სიტუაციები (გოლის დროს კარის ხაზის გადაკვეთება და ასე შემდეგ) მართლაც შეამცირა და ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ასეთი რამ გერმანიის 2006 წლის მუნდიალზეც უნდა განხორციელდეს.

„დამიჯერეთ ჩიპიანი ბურთების შემოღება ხეირს არ მოგვიტანს. კომპიუტერული ტექნიკა კარგია, ოღონდ ზედმეტი ნუ მოგვივა. მალე ალბათ იმასაც მივაღწევთ, რომ ბურთი თავად იყვირებს — გოლია, კარში შევედიო" — თქვა ლეგენდარულმა ფრანცმა, გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა.

**ლადო ხომერიკი**

# კრანკლის დასასრული



ჰანს კრანკლი

**ავსტრიის** ნაკრების მწვრთნელი ჰანს კრანკლი უმუშევარი დარჩა. უკვე მისი შემცვლელიც ნაპოვნია — ვენის „რაპიდის" თავკაცი იოზეფ ჰიკერსბერგერი. თუმც ეს უკანასკნელი პოსტს მხოლოდ დეკემბერში ჩაიბარებს. ჯერჯერობით უცნობია ვინ დამოძღვრავს ავსტრიელები იქამდე.

ჰანს კრანკლის ხელში ავსტრიამ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე გასვლის შანსი თითქმის დაკარგა. სექტემბრის დასაწყისში აზერბაიჯანს ვერ მოუგო და მეორე ადგილზე მყოფ ინგლისს შვიდი ქულით ჩამორჩება.

„დარწმუნებული ვარ, რომ ჰიკერსბერგერი ნაკრებისთვის იდეალური კანდიდატია, რომელიც გუნდს ევრო 2008-ისთვის მოამზადებს" — თქვა ავსტრიის ფეხბურთის ასოციაციის შეფმა ფრიდრიხ სტიკლერმა.

თვითონ „რაპიდის" თავკაცმა კი აღნიშნა: „სასიხარულოა, რომ პატივი დამდეს და ნაკრების მწვრთნელობა შემომთავაზეს, მაგრამ ჯერ მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაზე ვფიქრობ".

„რაპიდის" პატრონი რუდოლფ ედლინგერი სტიკლერს მიემხრო, ნაკრებისთვის უკეთესი თუ იქნება, ჰიკერსბერგერს დავთმობო.

**ვაჟა ხუციშვილი**



# იაკინტა რვა მილიონი ღირს

**როგორც იქნა**, „უდინეზეს" ბოსებმა იაკინტას გასაყიდი ფასი დაასახელეს, რვა მილიონი გირვანქა.

იტალიის ნაკრების მოთამაშე სავარაუდოდ იანვარში „სტადიო ფრიულის" დატოვებს, თუმცა კლუბის მესვეურები იაკინტას შეძენის მსურველებს აფრთხილებენ, რომ რვა მილიონს კაპიკი არ დააკლდება:

„იაკინტა „უდინეზეს" იანვარში ან ივნისში დატოვებს. მასში რვა მილიონს ვითხოვთ. ნაკლებად არ გავუშვებთ. ამავე დროს არ გვინდა, „რომას" მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, რომელსაც კასანო ჰყავს თუ არა, ვერ გაიგებ" — განაცხადა უდინელთა პრესმდივანმა გვიდო გომირატომ.

ასევე მან დასძინა, რომ იაკინტას მსურველებში „რომაც" და „ინტერიც" ფიგურირებენ, მაგრამ ეჭვი ეპარება, რომ დედაქალაქელები მასში საჭირო თანხის გადახდას შეძლებენ. რაც შეეხება ინტერის ვარიანტს, გომირატოს მიაჩნია, რომ ეს იდეალურია: „მანჩინის მოსწონს ვინჩენცო. იაკინტას კი როგორც პირველ, ასევე მეორე ფორვარდად შეუძლია თამაში".

**ზურაბ გოცირიძე**

# ლომანა ავად გამხდარა

**„პორტსმუთის"** ფორვარდი ლომანა, ტრეზორ ლუალუა მალარიის დიაგნოზით, ჰოსპიტალში გააქანეს. დემოკრატიული კონგოს ნაკრების ფეხბურთელს მალარია კინშასადან გამოჰყვა, სადაც კონგოელებმა სექტემბრის დასაწყისში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ითამაშეს.

ლუალუამ ამ კვირის დასაწყისში ვარჯიშზე თავი შეუძლოდ იგრძნო და სისხლის ანალიზმა ეჭვი დაადასტურა. ფეხბურთელი ამჟამად იზოლირებულია და ექიმის განცხადებით, მის გამოკეთებას ექვსი კვირა დასჭირდება.

იაკუბუ აიეგბენი, რომელიც ადრე „პორტსმუთში" თამაშობდა, ასევე მალარიით იყო დაავადებული, მაგრამ მისმა მკურნალობამ უფრო ნაკლები დრო წაიღო, ვიდრე ლუალუას სჭირდება. აიეგბენი ახლა „მიდლსბროშია" და კლუბმა იგი საგანგებო ტესტზე გაატარა, სანამ „პორტსმუთიდან" გადაიყვანდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ინგლისი

### ჩემპიონატი. XI ტური

**ბარნსლი 3:0 იფსვიჩი,**

1:0 პ. ოკონორი (32), 2:0 ჯ. ოკონორი (71), 3:0 მაკკანი (86)

**ლესტერი 0:0 ბრაიტონი**

**კრიუ 0:4 ვულზი**

0:1 კორტი (12), 0:2, 0:3 მილერი (26, 33), 0:4 კორტი (35)

**ლუტონი 3:0 პრესტონი**

1:0 ფინი (3), 2:0 ბრკოვიჩი (10), 3:0 ჰოვარდი (37)

**მილუოლი 1:1 ქპრ**

0:1 ნიგაარდი (24), 1:1 ჰეილსი (45)

**ნორვიჩი 2:1 ჰალი**

0:1 ლ. კორტი (1), 1:1 საფრი (14), 2:1 დოჰერტი (38)

**შეფილდი 2:0 პლიმუთი**

1:0 შიპერლი (10), 2:0 ქუინი (30)

**სტოკი 0:3 კარდიფი**

0:1 ჯერომი (9), 0:2 პურსი (11), 0:3 ჯერომი (42)

**კრ. პალასი 2:0 უენსდი**

1:0 მორისონი (16), 2:0 ველანი (56ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 11 | 10 | 0 | 1 | 24:10 | 30 |
| რედინგი | 10 | 7 | 2 | 1 | 19:6 | 23 |
| ლუთონი | 11 | 6 | 3 | 2 | 17:10 | 21 |
| ვულვზი | 11 | 5 | 4 | 2 | 17:10 | 19 |
| უოტფორდი | 10 | 5 | 3 | 2 | 19:12 | 18 |
| ქუინზ პარკი | 11 | 4 | 4 | 3 | 10:12 | 16 |
| სტოკი | 11 | 5 | 1 | 5 | 11:17 | 16 |
| საუთჰემპტონი | 10 | 3 | 6 | 1 | 12:9 | 15 |
| კარდიფი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:12 | 15 |
| კრ. პალასი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:10 | 14 |
| ლიდსი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:9 | 14 |
| იფსვიჩი | 11 | 4 | 2 | 5 | 10:16 | 14 |
| პრესტონი | 11 | 3 | 4 | 4 | 11:13 | 13 |
| დერბი | 10 | 2 | 6 | 2 | 14:13 | 12 |
| ჰალი | 11 | 3 | 3 | 5 | 8:9 | 12 |
| ნორვიჩი | 11 | 3 | 3 | 5 | 10:12 | 12 |
| ლესტერი | 11 | 2 | 5 | 4 | 11:14 | 11 |
| ბარნსლი | 11 | 2 | 4 | 5 | 17:16 | 10 |
| ბრაიტონი | 11 | 1 | 7 | 3 | 11:14 | 10 |
| ქოვენთრი | 10 | 1 | 6 | 3 | 10:14 | 9 |
| ქრიუ | 11 | 1 | 6 | 4 | 10:18 | 9 |
| მილუოლი | 11 | 2 | 3 | 6 | 9:17 | 9 |
| პლიმუთი | 11 | 2 | 3 | 6 | 7:15 | 9 |
| უენსდი | 10 | 1 | 4 | 5 | 6:12 | 7 |

## იტალია

### სერია B. VIII ტური

**პესკარა 0:2 ტორინო**

0:1 სტელონე (71), 0:2 ფანტინი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 6 | 5 | 1 | 0 | 11:4 | 16 |
| ატალანტა | 6 | 5 | 0 | 1 | 11:7 | 15 |
| მოდენა | 6 | 3 | 3 | 0 | 7:2 | 12 |
| კატანია | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 11 |
| ბოლონია | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| ტორინო | 5 | 3 | 1 | 1 | 6:2 | 10 |
| კროტონე | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| ბრეშა | 6 | 2 | 3 | 1 | 8:5 | 9 |
| არეცო | 6 | 2 | 3 | 1 | 6:3 | 9 |
| ვერონა | 6 | 2 | 3 | 1 | 5:3 | 9 |
| ტრიესტინა | 6 | 2 | 3 | 1 | 4:2 | 9 |
| ვიჩენცა | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| პიაჩენცა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:11 | 7 |
| ჩეზენა | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 6 |
| რიმინი | 5 | 1 | 3 | 1 | 8:8 | 6 |
| კრემონეზე | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| ბარი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| პესკარა | 6 | 1 | 1 | 4 | 6:10 | 4 |
| კატანძარო | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | 4 |
| ტერნანა | 6 | 1 | 1 | 4 | 4:12 | 4 |
| ალბინოლეფე | 6 | 0 | 3 | 3 | 3:6 | 3 |
| აველინო | 6 | 0 | 2 | 4 | 5:12 | 2 |

## შვედეთი

### ალსვენსკა XXIII ტური

**ელფსბორგი 2:1 სუნდსვალი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 23 | 14 | 4 | 5 | 46:24 | 46 |
| გიოტებორგი | 23 | 12 | 7 | 4 | 29:15 | 43 |
| მალმიო | 23 | 11 | 5 | 7 | 32:24 | 38 |
| ჰამარბი | 23 | 10 | 7 | 6 | 39:25 | 37 |
| კალმარი | 23 | 9 | 9 | 5 | 30:20 | 36 |
| ჰელსინგბორგი | 23 | 11 | 3 | 9 | 30:34 | 36 |
| ელფსბორგი | 23 | 9 | 7 | 7 | 30:31 | 34 |
| ჰეკენი | 23 | 10 | 2 | 11 | 27:25 | 32 |
| იორგრიტე | 23 | 9 | 4 | 10 | 31:33 | 31 |
| ჰალმსტადი | 23 | 8 | 5 | 10 | 32:30 | 29 |
| ლანდსკრონა | 23 | 7 | 6 | 10 | 23:35 | 27 |
| გეფლე | 23 | 7 | 4 | 12 | 21:30 | 25 |
| სუნდსვალი | 23 | 4 | 7 | 12 | 25:43 | 19 |
| ასირისკა | 23 | 4 | 2 | 17 | 15:41 | 14 |

# უეფას თასი 2005-2006

## პირველი ეტაპი. პირველი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| ლევსკი (ბულგარეთი) | — | ოსერი (საფრანგეთი) (1:2) |
| კოპენჰაგენი (დანია) | — | ჰამბურგი (გერმანია) (1:1) |
| კორკი (ირლანდია) | — | სლავია (ჩეხეთი) (0:2) |
| მეტალურგი (უკრაინა) | — | პაოკ (საბერძნეთი) (1:1) |
| ევერტონი (ინგლისი) | — | დინამო (რუმინეთი) (1:5) |
| მიუპა (ფინეთი) | — | გრასჰოპერი (შვეიცარია) (1:1) |
| ბრაგა (პორტუგალია) | — | ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) (0:0) |
| მარსელი (საფრანგეთი) | — | ბეერსხოტი (ბელგია) (0:0) |
| ცსკა (ბულგარეთი) | — | ლევერკუზენი (გერმანია) (1:0) |
| მიდტიულანდი (დანია) | — | ცსკა (რუსეთი) (1:3) |
| სამპდორია (იტალია) | — | სეტუბალი (პორტუგალია) (1:1) |
| მაინცი (გერმანია) | — | სევილია (ესპანეთი) (0:0) |
| შიროკი ბრიეგი (ბოსნია) | — | ბაზელი (შვეიცარია) (0:5) |
| რაპიდი (ავსტრია) | — | ფეიენოორდი (ჰოლანდია) (1:1) |
| დნიპრო (უკრაინა) | — | ჰიბერნიანი (შოტლანდია) (0:0) |
| ოსასუნა (ესპანეთი) | — | რენი (საფრანგეთი) (1:3) |
| ვისლა (პოლონეთი) | — | გიმარაეში (პორტუგალია) (0:3) |
| ალკმაარი (ჰოლანდია) | — | კრილია (რუსეთი) (3:5) |
| დომჟალე (სლოვენია) | — | შტუტგარტი (გერმანია) (0:2) |
| სტიაუა (რუმინეთი) | — | ვოლერენგა (ნორვეგია) (3:0) |
| სტრასბური (საფრანგეთი) | — | გრაცერი (ავსტრია) (2:0) |
| ლოკომოტივი (რუსეთი) | — | ბრანი (ნორვეგია) (2:1) |
| ანართოსისი (კვიპროსი) | — | პალერმო (იტალია) (1:2) |
| სპორტინგი (პორტუგალია) | — | ჰალმშტადი (შვედეთი) (2:1) |
| ქსანთი (საბერძნეთი) | — | მიდლსბრო (ინგლისი) (0:2) |
| პარტიზანი (სერბეთი) | — | მაკაბი (ისრაელი) (2:0) |
| არისი (საბერძნეთი) | — | რომა (იტალია) (1:5) |
| მალმიო (შვედეთი) | — | ბეშიქთაში (თურქეთი) (1:0) |
| გენკი (ბელგია) | — | ლიტექსი (ბულგარეთი) (2:2) |
| ჰერენვენი (ჰოლანდია) | — | ბანიკი (ჩეხეთი) (0:2) |
| ჰერტა (გერმანია) | — | აპოელი (კვიპროსი) (1:0) |
| ესპანიოლი (ესპანეთი) | — | ტეპლიცე (ჩეხეთი) (1:1) |
| ტილბურგი (ჰოლანდია) | — | მონაკო (საფრანგეთი) (0:2) |
| აუსტრია (ავსტრია) | — | ვიკინგი (ნორვეგია) (0:1) |
| ციურიხი (შვეიცარია) | — | ბრონდბიუ (დანია) (0:2) |
| ვროცლინი (პოლონეთი) | — | ლანსი (საფრანგეთი) (1:1) |
| გალათასარაი (თურქეთი) | — | ტრომსიო (ნორვეგია) (0:1) |
| ლოკომოტივი (ბულგარეთი) | — | ბოლტონი (ინგლისი) (1:2) |
| დებრეცენი (უნგრეთი) | — | შახტარი (უკრაინა) (1:4) |
| აეკ (საბერძნეთი) | — | ზენიტი (რუსეთი) (0:0) |

# სკალპელით დაწერილი ანონსი

**უეფას თასის** მფლობელი მოსკოვის ცსკა „მიდტიულანდს" ვაგნერ ლავისა და მილოშ კრასიჩის გარეშე ესტუმრება. შეგახსენებთ, რომ მეტოქეთა პირველი მატჩი, მოსკოვში თასის მფლობელის 3:1 გამარჯვებით დასრულდა. რუსეთის ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში „ჯარისკაცებმა" ვერ ათამაშეს დანი კარვალიუ, რომელიც დისკვალიფიცირებული გახლდათ, მაგრამ ეს დისკვალიფიკაცია უეფას თასს, ბუნებრივია არ ეხება და დანი დანიაში გაემგზავრა. რუსეთის ჩემპიონატის ხსენებული ბოლო თამაში კი გახლდათ მოსკოვური დერბი „სპარტაკთან", რომელიც ვალერი გაზაევის სამწყსოს ზემოხსენებული ლავისა და კრასიჩის დაშავებად დაუჯდა. მერედა, თუკი კრასიჩი ერთი კვირის შემდეგ მოედანს დაუბრუნდება, ლავი სამი კვირით იქნება თავისუფალი ფეხბურთისგან და შეუძლია ამოუწურავი შესაძლებლობების მოსკოვში შეუსვენებლივ ლავი აკეთოს.

ლისაბონის „სპორტინგი" მშობლიურ „ჟოზე ალვალადეზე" „ჰალმშტადთან" მცველის, როჟერიოს გარეშე ითამაშებს. მიზეზი: როჟერიომ ორთავე კუნთის ოპერაცია გაიკეთა. თურმე ბრაზილიელი მცველი ერთხანს ტკივილს იტანდა და ისე გამოდიოდა მოედანზე, მაგრამ საბოლოოდ ტკივილი გაუსაძლისი გახდა, ხოლო ოპერაცია გარდაუვალი. ერთი სიტყვით, 29 წლის მოთამაშე სამი კვირის განმავლობაში არ იქნება თანაგუნდელებთან, ხოლო „ჰალმშტადისა" და „სპორტინგის" პირველი შეხვედრა პორტუგალიელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა.

რაკილა ოპერაციებზე საუბარს კარგი ქირურგებივით თუ არა, „რეალითი შოუს" ერთგული მაყურებლებივით მაინც ნაღდად გავეჩვიეთ, თემა გავაგრძელოთ და ისა ვთქვათ, რომ ამა წლის 14 აგვისტოს საოპერაციო „ფეიენოორდის" 32 წლის ნახევარმცველი ალფრედ შროიდერიც შეიქნა. მოკლედ, მას ერვინ კუმანის ხალმძღვანელობით ჯერ არ უთამაშია, რადგან ოპერაცია მხოლოდ ამასწინათ გაიკეთა და რეაბილიტაციის პროცესი წინ აქვს. როგორც „ფეიენოორდის" ექიმმა რობარტ და არა რობერტ ვან ლიშოტენმა განაცხადა, არანაირმა თერაპიამ არ მოიტანა შედეგი. აი, ასეთი ამბავია როტერდამის გუნდში, რომელმაც პირველ წრეში ბუქარესტის „რაპიდთან" 1:1 ითამაშა და ახლა რუმინეთს მიემგზავრება.

საინტერესო რამ შეემთხვათ ფრანგულ გუნდებს, „მარსელსა" და „რენს" — უეფას თასისთვის ორივე კაპიტნის გარეშე დარჩა. მარსელელთა კაპიტანი ფრედერიკ დეუ ანტვერპენში თამაშს აქილევსის მყესის გაწყვეტის გამო ვერ შეძლებს, ხოლო რენელი სირილ ჟუნეშანი ესპანეთში „ოსასუნასთან" კი არა კარგა სამი თვის განმავლობაში ვერავისთან ველარ ითამაშებს, მარჯვენა მუხლი იტკინა სერიოზულად.

მალხაზ ასათიანს და მის მოსკოვის „ლოკომოტივს" „ბრანი", კაცმა რომ თქვას ვერც მარტინ ანდერსენით დააკლებდა რამეს, მითუფრო პირველ თამაშში წაგებული 1:3-ის შემდეგ, მაგრამ საზარდულის ტრავმისთვის ცოდო ნამდვილად იყო, ვინაიდან ორი სანაკრებო თამაშის გამოტოვებაც მოუხდება.

**პაპუნა ძიძია**

# თამაშის ჩემი წესები

*(დასასრული, დასაწყისი №205-ე, გაგრძელება №211-ე, №217-ე „სარბიელში")*




## ჩხვლეტა ქოლგით

**2000 წლის** გაზაფხულზე, ჩემპიონატის მიწურულს, სერია **B**-ში „ფოჯა" — „ბარის" მსაჯობა მომიწია. ასეთ მატჩებში ქომაგებს შორის შეხლა ხშირია. ამჯერადაც ჩხუბის სუნი ტრიალებდა. ორივე გუნდის ფანები მოედანზე ნივთებს ისროდნენ. პირველ ტაიმში შედარებით სიწყანრე იყო, რადგან მეკარეები თავიანთ გუნდის გულშემატკივრების სექტორებთან იმყოფებოდნენ. შესვენების შემდეგ, როცა გუნდებმა ადგილები გაცვალეს, ვითარება გამძაფრდა.

მეკარეებმა და გვერდითმა მსაჯებმა იციან, რაოდენ საშიშია ტრიბუნისკენ ზურგით დგომა, საიდანაც მტრულად განწყობილი გიჟმაჟი ქომაგები სხედან. წარმოიდგინეთ, რა ხდება იმ მატჩებში, სადაც ტრიბუნები თითქმის მოედნის კიდედან იწყება. გვერდით არბიტრებს აფურთხებენ, საგნებს ესვრიან და რაღაც სითხეებს ასხამენ.

ერთმა მსაჯმა მიამბო, რომ მავანი ფანი მთელი მატჩის განმავლობაში ქოლგით ჩხვლეტდა და არ მოასვენა.

იმ დღეს ფოჯაში გადაუღებლად წვიმდა. სისულელედ მეჩვენებოდა ასეთ ამინდში ფეხბურთის თამაში. ვიფიქრე, ცოტას მოვიცდი, წვიმამ თუ არ იკლო შეხვედრას შეწყვეტ და გადავდებ-მეთქი, მაგრამ მეშინოდა, შეწყვეტას გულშემატკივრებს შორის მუშტი-კრივი არ გამოეწვია. ამიტომ გადავწყვიტე, გაცოფებული ფანებისთვის რისხვის ობიექტი მომეშორებინა. ჯერ გვერდითმა მსაჯებმა გაცვალეს ადგილები, მაგრამ ქომაგები მაინც არ დაცხრნენ, ისინი მეკარეებს მისმართით სროლას განაგრძობდნენ. ერთ-ერთმა თანამსაჯმა მითხრა, გუნდებს ადგილები გავაცვლევინოთო. ეს იდეა მომეწონა. კაპიტნებს ვუხმე და ადგილების გაცვლა შევთავაზე. ასეთი გადაწყვეტილება თამაშის მსვლელობისას წესის დარღვევას ნიშნავდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობდა. როგორც კი მეკარეები თავისი ქომაგების სექტორებთან აღმოჩნდნენ, სტადიონი დაცხრა, რადგან გიჟმაჟებს სამიზნეები გამოვაცალეთ. ნამატჩევს ბევრმა გამკრიტიკა, მაგრამ თვით ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა ნაბიჯი მომიწონა. იტალიის მსაჯთა კომიტეტის შეფმა განაცხადა: „კოლინას გადაწყვეტილება კანონგარეშეა, თუმც კანონს არ ეწინააღმდეგება". ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცი. ერთ-ერთ კაპიტანს რომ ეთქვა უარი ადგილების გაცვლაზე, არ შევაცვლევინებდი.

## წვიმის კაცი

**კიდევ** ერთ მაგალითად შეიძლება იმავე წლის მაისში გამართული „პერუჯა" — „იუვენტუსის" მატჩი მოვიყვანო, რომელიც შემდგომში ისტორიულად იქცა. ეს ჩემპიონატის ბოლო შეხვედრა იყო. მზიანი დარი იდგა. მე და ჩემი თანამსაჯები პერუჯიდან მოშორებით სასტუმროში დავბინავდით. დილით, ათის ნახევარზე, მზეს ვეფიცხებოდი და გაზეთს ვკითხულობდი. ისე დამცხა, რომ ათი წუთის შემდეგ ჩრდილს შევეფარე. სადმოსთვის, როცა პერუჯას ვუახლოვდებოდით, მოიღრუბლა. მატჩის პირველ ტაიმში წამოწვიმა და მერე ნელ-ნელა უმატა. შესვენებისას კოკისპირული წამოვიდა. თამაშის გაგრძელება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში ძალიან იოლია გადაწყვეტილების მიღება — შეხვედრა უნდა გადოდო, მაგრამ ვიცოდი, პერუჯადან რამდენიმე კილომეტრში მზე ანათებდა. მინდვრის დრენაჟი კი წყალს კარგად იწოვდა. ამ სტადიონზე ასეთ სიტუაციაში ადრეც მოვხვედრილვარ და მახსოვდა, რომ წვიმის შეწყვეტიდან ორ-სამ წუთში მინდვრის საფარი ისევ ვარგისი ხდებოდა. ამიტომ მოცდა გადავწყვიტე. მოედანი რამდენჯერმე შევამოწმე და როცა წყალი ბალახის ქვეშ გაიპარა, თამაში განვაახლე.

ჩემმა გადაწყვეტილებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, მაგრამ განსაკუთრებით ის მახარებს, როცა ჟურნალისტები და კომენტატორები „მოცდის პოლიტიკას" მიქებენ და შრომას ფრიადზე მიფასებენ. ცხადია, იუვენტუსელები შეხვედრის გაგრძელების წინააღმდეგნი იყვნენ, რადგან ამ მატჩში მათი ჩემპიონობის ბედი წყდებოდა და გახსოვთ, რომ „პერუჯამ" მოიგო და ტურინელებს ოქრო დააკარგვინა. დღემდე „იუვეს" ქომაგი სადმე თუ შემხვდება, პერუჯას მახსენებს.

## ბენზინი

**სერია C-ში** მსაჯობისას „სპეცია"-„ლუკას" მატჩზე უნდა წავსულიყავი. მეტად დაძაბულ თამაშს ელოდნენ, რადგან წინა სეზონში „ლუკამ" — „სპეციას" ბოლო ტურში მოუგო და სერია **B**-ში შესასვლელი კარი ცხვირწინ მიუხურა. სპეციელები სარევანშოდ ემზადებოდნენ.

მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ავტომობილი მომპარეს და ბიძაშვილს ძველი ავტო ვთხოვე. მაშინ ბოლონიაში ვცხოვრობდი, ჩემი ცოლის მშობლები კი ვიარეჯოში იყვნენ. მეუღლე მშობლებს მივაბარე, მე კი სასტუმროში დავბინავდი. დილით წავიხემსე და თამაშზე გავემგზავრე. გზაზე გამახსენდა, ნეტავ, მართალია ის, რასაც ამ ავტომობილზე მეუბნებოდნენ? ბიძაშვილმა მითხრა, ძალიან ცოტა ბენზინს წვავსო. მაჩვენებელ ისარს ვაკვირდებოდი და სულ ერთსა და იმავე ადგილზე იყო. სპეციამდე დაახლოებით 20 კილომეტრი რჩებოდა, ძრავა რომ გაჩუმდა და ოთხთვალაც გაჩერდა. გადმოვედი და გამვლელ მანქანას კარარემდე გავყევი, საიდანაც ტექმომსახურეობის ავტომობილით დავბრუნდი. მათ შეამოწმეს ავზი და ნახეს, რომ ბენზინი გათავებულიყო. მოგვიანებით ბიძაშვილმა მითხრა, მაჩვენებელი არ მუშაობსო. საწვავი ჩავასხი და მატჩამდე 35 წუთით ადრე მივაღწიე სტადიონს. თანამსაჯები შეწუხებულები დამხვდნენ და მოვუყევი, რაც თავს გადამხდა.

## თილისმა

1995 **წელს** ბულგარეთი — გერმანიის მატჩზე პიერლუიჯი პაირეტოს თანამსაჯად დამნიშნეს. პაირეტო იმ დროს უკვე ცნობილი და გამოცდილი არბიტრი იყო. გასახდელში რომ შევედი, დავინახე, რომ ჩემი სეხნია თავისი შარვლის ჯიბეებში იქექებოდა, რაღაცას ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა. როგორც ჩანს თილისმა. რაღაც პირადი არასოდეს დამეკარგებოდა, თუმც რამდენიმე წლის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩზე ბარსელონაში გვერდითი მსაჯების ალმები სასტუმროში დამრჩა. დახმარება პოლიციას ვთხოვეთ და ნახევარ საათში მოიტანეს.

ერთადერთი თილისმა, რომელსაც ძალიან ვუფრთხილდები, ორმოცდაათცენტიანი მონეტაა. სწორედ მას ვაბზრიალებ ხოლმე მოედნის ცენტრში. სერია **B**-ში „ჩეზენა" — „ვერონას" მატჩზე მონეტა გვერდით მსაჯს ჩავაბარე. თამაშის შემდეგ ვთხოვე, დამიბრუნე-მეთქი, მაგრამ ჯიბეები რომ მოსინჯა ვერ ნახა. „მგონი, დავკარგე" — მითხრა მან. ყველანი მოედანზე გავცვივდით, ვეძებეთ, მაგრამ ამაოდ. ერთი კვირის შემდეგ კარაბინერებმა იპოვეს და „ჩეზენას" მასაჟისტის ხელით დამიბრუნეს.

*დასასრული*

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. პრემიერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 3 | ფულემი-მანჩესტერი | 4.50 | 3.50 | 1.70 | 1.96 | 1.23 | 1.14 |
| 18:00 | 4 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| 18:00 | 5 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 18:00 | 6 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 20:15 | 7 | სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:15 | 2 | სიტი-ევერტონი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 16:00 | 8 | უიგანი-ბოლტონი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 16:30 | 9 | არსენალი-ბირმინგემი | 1.35 | 4.20 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.86 |
| 17:00 | 10 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 19:00 | 11 | ლივერპული-ჩელსი | 3.30 | 3.00 | 2.20 | 1.57 | 1.32 | 1.26 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 24 | ქალი-მილუოლი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 22:45 | 25 | ვულვერჰემპტონი-ბარნლი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 26 | რედინგი-შეფილდი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 18:00 | 27 | უოტფორდი-ლიდსი | 2.20 | 3.30 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 18:00 | 28 | უესხდი-ქოვენთრი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 29 | იფსვიჩი-ქრიუ | 1.65 | 3.30 | 4.75 | 1.10 | 1.22 | 1.94 |
| 18:00 | 30 | დერბი-ლესტერი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 18:00 | 31 | პლიმუთი-სტოკი | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |
| 18:00 | 32 | პრესტონი-საუთჰემპტონი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 18:00 | 33 | ბრაიტონი-ნორვიჩი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 18:00 | 34 | კარდიფი-ლუტონი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 35 | ქპრ-კრისტალ პალასი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |

### ინგლისი. I ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 48 | სკანთორპი-იოვილი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 49 | სუონსი-ბლეკპული | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 18:00 | 50 | ნოტინგემი-ტრანმერი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 18:00 | 51 | დონსი-სუინდონი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 52 | ჰადერსფილდი-ბორნმუთი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 18:00 | 53 | ჯილინგემი-საუთენდი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 18:00 | 54 | ბრისტოლი-ჰარტლპული | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 18:00 | 55 | კოლჩესტერი-ჩესტერფილდი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 56 | დონკასტერი-ბრედფორდი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 57 | ბრენტფორდი-როტერჰემი | 1.80 | 3.30 | 3.65 | 1.16 | 1.20 | 1.73 |
| 18:00 | 58 | ბარნსლი-ოლდჰემი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |

### ინგლისი. II ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 71 | ბერი-ლინკოლნი | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 18:00 | 72 | კარლაილი-როვერსი | 2.00 | 3.20 | 3.10 | 1.23 | 1.21 | 1.57 |
| 18:00 | 73 | მაკლსფილდი-ნოტსი | 2.45 | 3.10 | 2.60 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 74 | ნორთჰემპტონი-დარლინგტონი | 1.85 | 3.20 | 3.65 | 1.17 | 1.22 | 1.70 |
| 18:00 | 75 | ჩელტენემი-ტორკი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 18:00 | 76 | შრიუსბერი-გრიმსბი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 18:00 | 77 | რექსემი-სტოკპორტი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 18:00 | 78 | უიკომბი-ჩესტერი | 1.80 | 3.30 | 3.75 | 1.16 | 1.21 | 1.75 |
| 18:00 | 79 | როჩდეილი-რაშდენი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 18:00 | 80 | ლეიტონი-მენსფილდი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 18:00 | 81 | ბარნეტი-ოქსფორდი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| 18:00 | 82 | ბოსტონი-პიტერბრო | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.35 | 1.27 | 1.44 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 105 | აბერდინი-მოხერუელი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 18:00 | 106 | დანდი იუნაიტედი-კილმარნოკი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 18:00 | 109 | ლივინგსტონი-სელტიკი | 10.00 | 5.00 | 1.20 | 3.33 | 1.07 | 1.00 |
| 18:00 | 110 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 107 | ფოლკირკი-ჰართსი | 7.00 | 3.90 | 1.40 | 2.50 | 1.16 | 1.03 |
| 18:00 | 108 | ჰიბერნიანი-ინვერნესი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 111 | ბრეჩინი-დანდი | 3.20 | 3.40 | 1.95 | 1.64 | 1.21 | 1.23 |
| 18:00 | 112 | ჰამილტონი-სტ.მირენი | 2.55 | 3.30 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 113 | როსი-ქუინი | 1.45 | 4.00 | 5.50 | 1.06 | 1.14 | 2.31 |
| 18:00 | 114 | სტრანრარი-სტ.ჯონსტონი | 3.10 | 3.50 | 1.90 | 1.64 | 1.17 | 1.23 |
| 18:00 | 115 | ერდრი-კლაიდი | 2.15 | 3.30 | 2.75 | 1.30 | 1.20 | 1.50 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 116 | ალოა-პარტიკი | 2.60 | 3.50 | 2.20 | 1.49 | 1.19 | 1.35 |
| 18:00 | 117 | გრეტნა-დამბარტონი | 1.25 | 5.00 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.07 |
| 18:00 | 118 | მორტონი-პიტერჰედი | 1.35 | 4.30 | 6.00 | 1.02 | 1.10 | 2.50 |
| 18:00 | 119 | რეითი-ფორფარი | 1.65 | 3.60 | 3.90 | 1.13 | 1.15 | 1.87 |
| 18:00 | 120 | სტირლინგი-ეარი | 2.90 | 3.50 | 2.00 | 1.58 | 1.18 | 1.27 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 121 | ბერიკი-მონტროუზი | 1.40 | 4.20 | 5.60 | 1.04 | 1.12 | 2.40 |
| 18:00 | 122 | კოუდენბითი-სტენჰაუზმური | 3.10 | 3.50 | 1.90 | 1.64 | 1.17 | 1.23 |
| 18:00 | 123 | ისტ სტირლინგი-ალბიონი | 2.55 | 3.50 | 2.00 | 1.47 | 1.12 | 1.27 |
| 18:00 | 124 | ელგინი-ისტ ფაიფი | 2.70 | 3.60 | 2.05 | 1.54 | 1.16 | 1.30 |
| 18:00 | 125 | ქუინზ პარკი-არბროთი | 2.05 | 3.60 | 2.75 | 1.30 | 1.17 | 1.55 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 126 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.30 | 4.70 | 9.00 | 1.01 | 1.13 | 3.08 |
| 17:30 | 127 | აინტრახტი-შალკე | 3.50 | 3.30 | 2.00 | 1.69 | 1.27 | 1.24 |
| 17:30 | 128 | ჰანოვერი-დუისბურგი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 17:30 | 129 | ჰერტა-ვერდერი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 17:30 | 130 | ლევერკუზენი-არმინია | 1.45 | 3.90 | 6.70 | 1.05 | 1.19 | 2.46 |
| 17:30 | 131 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| 17:30 | 132 | ნიურნბერგი-კიოლნი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 133 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 2.95 | 3.30 | 2.20 | 1.55 | 1.26 | 1.32 |
| 19:30 | 134 | დორტმუნდი-შტუტგარტი | 2.30 | 3.30 | 2.85 | 1.35 | 1.27 | 1.52 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 136 | ალემანია-ფიურტი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 21:00 | 137 | აუე-ალენი | 1.60 | 3.50 | 4.60 | 1.09 | 1.18 | 1.98 |
| 21:00 | 138 | უნტერჰახინგი-ზაარბრიუკენი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 139 | ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი | 2.25 | 3.20 | 2.65 | 1.32 | 1.21 | 1.44 |
| 17:00 | 140 | ბურგჰაუზენი-ჰანზა | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 17:00 | 141 | კარლსრუე-კოტბუსი | 2.25 | 3.30 | 2.50 | 1.33 | 1.18 | 1.42 |
| 17:00 | 142 | პადერბორნი-ოფენბახი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 17:00 | 143 | ზიგენი-დინამო | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:15 | 144 | ბოხუმი-მიუნხენი 1860 | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა

**1 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 165 | პაშინგი-რაპიდი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 20:30 | 166 | ზალცბურგი-რიდი | 1.40 | 3.90 | 6.70 | 1.03 | 1.15 | 2.46 |
| 20:30 | 167 | ტიროლი-შტურმი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 163 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.35 | 4.40 | 6.50 | 1.03 | 1.11 | 2.62 |
| 17:30 | 164 | გრაცერი-ადმირა | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |

### ავსტრია. I დივიზიონი

**30 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 168 | აუსტრია(ლ)-კერნტენი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 21:00 | 169 | აუსტრია(მ)-კაფენბერგი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 21:00 | 170 | ლინცერი-გრატკორნი | 1.60 | 3.50 | 4.90 | 1.09 | 1.20 | 2.04 |
| 21:00 | 171 | ლეობენი-კუფშტაინი | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 21:00 | 172 | შვანენშტადტი-ალტახი | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

**1 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 176 | სტ.გალენი-აარაუ | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 173 | ბაზელი-თუნი | 1.55 | 3.70 | 4.80 | 1.09 | 1.17 | 2.08 |
| 18:15 | 174 | გრასჰოპერი-ციურიხი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 16:30 | 175 | ქსამაქსი-შაფჰაუზენი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 177 | იანგ ბოიზი-ივერდონი | 1.45 | 3.90 | 6.50 | 1.05 | 1.18 | 2.43 |

### იტალია. სერია A

**1 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 188 | კიევო-ტრევიზო | 1.60 | 3.20 | 6.50 | 1.06 | 1.28 | 2.14 |
| 22:30 | 196 | უდინეზე-ლაციო | 1.85 | 3.10 | 4.40 | 1.15 | 1.30 | 1.81 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 187 | ასკოლი-პარმა | 2.45 | 2.90 | 2.95 | 1.32 | 1.33 | 1.46 |
| 17:00 | 189 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.65 | 3.30 | 5.30 | 1.10 | 1.25 | 2.03 |
| 22:30 | 190 | იუვენტუსი-ინტერი | 2.10 | 2.90 | 3.65 | 1.21 | 1.33 | 1.61 |
| 17:00 | 191 | ლეჩე-კალიარი | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 17:00 | 192 | მესინა-სამპდორია | 2.70 | 3.00 | 2.55 | 1.42 | 1.31 | 1.37 |
| 17:00 | 193 | მილანი-რეჯინა | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 17:00 | 194 | პალერმო-ემპოლი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 17:00 | 195 | რომა-სიენა | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

**1 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 230 | ბარსელონა-სარაგოსა | 1.35 | 4.50 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| 23:45 | 232 | ხეტაფე-ვალენსია | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 231 | კადისი-სელტა | 2.55 | 3.10 | 2.65 | 1.39 | 1.29 | 1.42 |
| 19:00 | 233 | დეპორტივო-ოსასუნა | 1.70 | 3.50 | 4.60 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| 23:00 | 234 | მალაგა-ატლეტიკო | 2.35 | 3.00 | 3.00 | 1.31 | 1.31 | 1.50 |
| 21:00 | 235 | რეალი-მალიორკა | 1.25 | 5.30 | 9.50 | 1.01 | 1.10 | 3.40 |
| 19:00 | 236 | რასინგი-ალავესი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 19:00 | 237 | სევილია-ესპანიოლი | 1.95 | 3.10 | 3.90 | 1.19 | 1.29 | 1.72 |
| 19:00 | 238 | სოსიედადი-ბეტისი | 2.45 | 3.00 | 2.80 | 1.34 | 1.30 | 1.44 |
| 19:00 | 239 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |

### ესპანეთი. II დივიზიონი

**1 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 242 | კასტელონი-ტენერიფე | 2.85 | 2.90 | 2.30 | 1.43 | 1.27 | 1.28 |
| 19:30 | 244 | ტარაგონა-ლევანტე | 2.65 | 2.90 | 2.60 | 1.38 | 1.31 | 1.37 |
| 20:30 | 248 | რეალი(ბ)-ვალიადოლიდი | 2.35 | 2.90 | 2.95 | 1.29 | 1.30 | 1.46 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 240 | ალბასეტე-ეხიდო | 1.80 | 3.10 | 4.10 | 1.13 | 1.25 | 1.76 |
| 14:00 | 241 | ალმერია-სპორტინგი | 2.20 | 2.90 | 3.10 | 1.25 | 1.28 | 1.49 |
| 20:00 | 243 | ელჩე-ლეიდა | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 20:00 | 245 | მალაგა ბ-ეიბარი | 2.20 | 2.90 | 3.10 | 1.25 | 1.28 | 1.49 |
| 20:00 | 246 | მურსია-ფეროლი | 1.90 | 2.90 | 4.20 | 1.14 | 1.30 | 1.71 |
| 20:00 | 247 | ნუმანსია-სიუდადი | 2.10 | 2.90 | 3.30 | 1.21 | 1.28 | 1.54 |
| 20:00 | 249 | უელვა-ლორკა | 1.80 | 3.00 | 4.30 | 1.12 | 1.26 | 1.76 |
| 19:00 | 250 | სერესი-ჰერკულესი | 1.90 | 2.90 | 4.00 | 1.14 | 1.28 | 1.68 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

**1 ოქტომბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:15 | 251 | პსჟ-ნანტი | 1.65 | 3.10 | 5.80 | 1.07 | 1.28 | 2.02 |
| 22:00 | 252 | მეცი-ბორდო | 3.20 | 2.80 | 2.35 | 1.49 | 1.35 | 1.27 |
| 22:00 | 253 | სოშო-ნანსი | 1.95 | 2.90 | 4.30 | 1.16 | 1.34 | 1.73 |
| 22:00 | 254 | სტ.ეტიენი-ლე მანი | 1.85 | 3.00 | 4.30 | 1.14 | 1.29 | 1.76 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 255 | ტრუა-სტრასბური | 2.10 | 2.90 | 3.60 | 1.21 | 1.32 | 1.60 |
| 20:00 | 256 | ტულუზი-ოსერი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| 20:00 | 257 | რენი-ლიონი | 3.30 | 3.00 | 2.15 | 1.57 | 1.30 | 1.25 |
| 20:00 | 258 | აიაჩო-ლანსი | 2.65 | 2.80 | 2.70 | 1.36 | 1.33 | 1.37 |
| 20:00 | 259 | ლილი-მონაკო | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 23:00 | 260 | ნიცა-მარსელი | 2.55 | 2.80 | 2.80 | 1.33 | 1.33 | 1.39 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი

**30 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 262 | ამიენი-კლერმონი | 1.80 | 3.00 | 4.20 | 1.12 | 1.25 | 1.75 |
| 22:30 | 263 | ბრესტი-რეიმსი | 1.85 | 2.90 | 4.00 | 1.12 | 1.26 | 1.68 |
| 22:30 | 264 | კაენი-ლორიანი | 2.35 | 2.80 | 2.90 | 1.27 | 1.29 | 1.42 |
| 22:30 | 265 | შატორუ-ისტრი | 2.25 | 2.80 | 3.00 | 1.24 | 1.28 | 1.44 |
| 22:30 | 266 | კრეტეი-ვალენსიენი | 1.85 | 2.90 | 4.30 | 1.12 | 1.29 | 1.73 |
| 22:30 | 267 | გრენობლი-დიჟონი | 2.00 | 2.90 | 3.70 | 1.18 | 1.29 | 1.62 |
| 22:30 | 268 | გენიონი-ლავალი | 1.85 | 2.90 | 4.30 | 1.12 | 1.29 | 1.73 |
| 22:30 | 269 | ლე ავრი-სეტე | 1.75 | 2.90 | 4.70 | 1.09 | 1.27 | 1.79 |
| 22:30 | 270 | მონპელიე-გენგამი | 2.15 | 2.90 | 3.20 | 1.23 | 1.28 | 1.52 |

### ბელგია. I დივიზიონი

**30 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 272 | შარლერუა-ბრიუგე | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 273 | ვარეგემი-რუზელარე | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 22:00 | 274 | ლუვიე-ბრიუსელი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 22:00 | 275 | სტანდარდი-ლოკერენი | 1.45 | 4.00 | 6.30 | 1.06 | 1.17 | 2.44 |
| 22:00 | 276 | ვესტერლო-ბევერენი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 22:00 | 277 | გენტი-ლიერსი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 22:00 | 278 | ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი | 1.20 | 5.60 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.81 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 279 | სერკლი-მუსკრონი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 20:00 | 280 | ბეერსხოტი-გენკი | 2.65 | 3.30 | 2.30 | 1.46 | 1.23 | 1.35 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი

**30 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 291 | როზენდალი-ბრედა | 2.80 | 3.20 | 2.15 | 1.49 | 1.21 | 1.28 |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 292 | დენ ჰააგი-ვალვაიკი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 21:30 | 293 | როდა-ვიტესი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:30 | 294 | უტრეხტი-ფეიენოორდი | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 16:30 | 295 | სპარტა-აიაქსი | 4.50 | 3.50 | 1.60 | 1.96 | 1.18 | 1.09 |
| 16:30 | 296 | ჰერაკლესი-ტვენტე | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 16:30 | 297 | გრონინგენი-ტილბურგი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 16:30 | 298 | ალკმაარი-ნაიმეგენი | 1.30 | 4.50 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.81 |
| 18:30 | 299 | ჰერენვენი-პსვ | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი

**29 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 644 | ჰელმონდი-ოსი | 1.40 | 3.80 | 6.50 | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 301 | ტელსტარი-ვოლენდამი | 3.40 | 3.30 | 1.90 | 1.67 | 1.21 | 1.20 |
| 22:00 | 302 | ემენი-ზვოლე | 2.05 | 3.30 | 2.95 | 1.26 | 1.20 | 1.55 |
| 22:00 | 303 | ექსელსიორი-ვეენდამი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 22:00 | 304 | სიტარდი-მაასტრიხტი | 2.55 | 3.20 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| 22:00 | 305 | იგლსი-დორდრეხტი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 22:00 | 306 | ვენლო-გრააფსხაპი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 22:00 | 307 | აპელდორნი-ალმერე | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 22:00 | 308 | კამბური-ჰაარლემი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 22:00 | 309 | დენ ბოსხი-ეინდჰოვენი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |

### პორტუგალია. სუპერლიგა

**30 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 321 | ბელენენსეში-ამადორა | 1.50 | 3.60 | 5.80 | 1.05 | 1.19 | 2.22 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:45 | 327 | რიუ ავე-ბოავიშტა | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 320 | აკადემიკა-ჟილ ვისენტე | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 23:45 | 324 | ფერეირა-სპორტინგი | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 22:15 | 325 | მარიტიმუ-პორტუ | 4.10 | 3.30 | 1.75 | 1.82 | 1.22 | 1.14 |
| 19:00 | 326 | ნასიონალი-პენაფიელი | 1.65 | 3.60 | 4.30 | 1.13 | 1.19 | 1.95 |
| 19:00 | 328 | სეტუბალი-ლეირია | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:30 | 322 | ბენფიკა-გიმარაეში | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 338 | აკრატიტოსი-იონიკოსი | 2.25 | 3.00 | 2.90 | 1.28 | 1.26 | 1.47 |
| 16:00 | 339 | ატრომიტოსი-ქსანთი | 2.35 | 2.90 | 2.85 | 1.29 | 1.28 | 1.43 |
| 16:00 | 340 | ეგალეო-ოფი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 16:00 | 341 | ირაკლისი-კალამარია | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 16:00 | 342 | კალითეა-პანათინაიკოსი | 7.50 | 4.40 | 1.30 | 2.77 | 1.10 | 1.00 |
| 16:00 | 343 | ლევადეიაკოსი-პანიონიოსი | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 16:00 | 344 | პაოკ-ოლიმპია | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 16:00 | 345 | აეკ-ოლიმპიაკოსი | 2.60 | 3.10 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 373 | სლოვაცკო-ბრნო | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 16:25 | 378 | იაბლონეცი-ლიბერეცი | 2.60 | 3.00 | 2.45 | 1.39 | 1.26 | 1.34 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 374 | ბლშანი-იპლავა | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 22:00 | 375 | ტეპლიცე-სპარტა | 2.45 | 3.00 | 2.60 | 1.34 | 1.26 | 1.39 |
| 19:00 | 376 | პლზენი-მოსტი | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 377 | სიგმა-ზლინი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 371 | ბანიკი-პრჟიბრამი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:40 | 372 | სლავია-ბოლესლავი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **1 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 379 | დუბნიცა-ჟილინა | 2.80 | 3.00 | 2.25 | 1.44 | 1.24 | 1.28 |
| 16:30 | 380 | ინტერი-ტრენჩინი | 2.15 | 3.00 | 3.00 | 1.25 | 1.25 | 1.50 |
| 16:30 | 381 | ნიტრა-რუჟომბეროკი | 2.30 | 3.00 | 2.75 | 1.30 | 1.25 | 1.43 |
| 16:30 | 383 | ტრნავა-ბ.ბისტრიცა | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 382 | პუხოვი-პეტრჟალკა | 3.30 | 3.00 | 2.00 | 1.57 | 1.24 | 1.20 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 419 | ჰამარი-რუსენბორგი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 20:00 | 420 | მოლდე-ოდ გრენლანდი | 2.10 | 3.30 | 3.20 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 20:00 | 421 | ტრომსიო-სტარტი | 2.60 | 3.30 | 2.45 | 1.45 | 1.26 | 1.40 |
| 20:00 | 422 | ალესუნდი-ლილესტრიომი | 2.65 | 3.30 | 2.30 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| 20:00 | 423 | ბოდიო ელიმტი-ფრედრიკსტადი | 1.90 | 3.50 | 3.60 | 1.23 | 1.24 | 1.77 |
| 22:05 | 424 | ვოლერენგა-ლინი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 425 | ბრანი-ვიკინგი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 455 | ტურკუ-ტამპერე | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **30 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 461 | უოტერფორდი-ბოჰემიანი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 22:45 | 462 | ბრეი-დროგედა | 2.45 | 3.00 | 2.60 | 1.34 | 1.26 | 1.39 |
| 22:45 | 463 | დერი-შელბურნი | 2.15 | 3.10 | 2.90 | 1.26 | 1.23 | 1.49 |
| 22:45 | 464 | შემროკი-ლონგფორდი | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 22:45 | 465 | სტ.პატრიკსი-ჰერპსი | 1.80 | 3.10 | 3.80 | 1.13 | 1.22 | 1.70 |
| | | **2 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 466 | კორკი-დუბლინი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| | | **3 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 467 | ბოჰემიანი-სტ.პატრიკსი | 1.65 | 3.10 | 4.80 | 1.07 | 1.22 | 1.88 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 536 | უნ.კატოლიკა-პალესტინო | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:15 | 568 | დომჟალე-შტუტგარტი | 4.10 | 3.40 | 1.70 | 1.85 | 1.20 | 1.13 |
| 18:15 | 569 | ცსკა(ბულ)-ლევერკუზენი | 2.90 | 3.30 | 2.15 | 1.54 | 1.23 | 1.30 |
| 18:55 | 570 | ლოკომოტივი(პლ)-ბოლტონი | 3.10 | 3.10 | 2.10 | 1.54 | 1.25 | 1.25 |
| 19:00 | 571 | ანორთოსისი-პალერმო | 4.50 | 3.40 | 1.65 | 1.93 | 1.20 | 1.11 |
| 19:30 | 572 | მიუპა-გრასჰოპერი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 20:00 | 573 | რაპიდი(ბ)-ფეიენოორდი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| 20:00 | 574 | ლოკომოტივი(მ)-ბრანი | 1.30 | 4.60 | 7.50 | 1.01 | 1.10 | 2.85 |
| 20:00 | 575 | მეტალურგი(დ)-პაოკ | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 20:00 | 576 | ტილბურგი-მონაკო | 3.20 | 3.10 | 2.10 | 1.57 | 1.26 | 1.25 |
| 20:15 | 577 | სტრასბური-გრაცერი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |
| 20:30 | 578 | ლევსკი-ოსერი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 20:30 | 579 | ჰერტა-აპოელი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 20:30 | 580 | გროცლინი-ლანსი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 20:30 | 581 | კორკი-სლავია | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |
| 21:00 | 582 | სტიაუა-ვოლერენგა | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 21:15 | 583 | პარტიზანი-მაკაბი(ფთ) | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 21:30 | 584 | შიროკი ბრიეგი-ბაზელი | 3.50 | 3.50 | 1.80 | 1.75 | 1.18 | 1.18 |
| 22:00 | 585 | დნიპრო-ჰიბერნიანი | 1.60 | 3.60 | 4.70 | 1.10 | 1.19 | 2.03 |
| 22:00 | 586 | მიდტიულანდი-ცსკა(მ) | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 22:00 | 587 | დებრეცენი-შახტარი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 22:00 | 588 | ქსანთი-მიდლსბრო | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 22:15 | 589 | ალკმაარი-კრილია | 1.20 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.21 |
| 22:15 | 590 | ციურიხი-ბრიონდბიუ | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 22:30 | 591 | ოსასუნა-რენი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 22:30 | 592 | ვისლა-გიმარაეში | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 22:30 | 593 | მალმიო-ბეშიქთაში | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 22:30 | 594 | მაინცი-სევილია | 2.90 | 3.10 | 2.25 | 1.49 | 1.26 | 1.30 |
| 22:30 | 595 | ბრაგა-ცრვენა ზვეზდა | 1.80 | 3.30 | 3.95 | 1.16 | 1.23 | 1.79 |
| 22:45 | 596 | გენკი-ლიტექსი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 22:45 | 597 | აუსტრია-ვიკინგი | 1.55 | 3.50 | 4.80 | 1.07 | 1.17 | 2.02 |
| 22:45 | 598 | სამპდორია-სეტუბალი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| 22:45 | 599 | აეკ-ზენიტი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 20:45 | 600 | გალათასარაი-ტრომსიო | 1.20 | 5.30 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.57 |
| 23:00 | 601 | არისი-რომა | 4.50 | 3.20 | 1.70 | 1.87 | 1.23 | 1.11 |
| 23:00 | 602 | კოპენჰაგენი-ჰამბურგი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 23:00 | 603 | მარსელი-ბეერსხოტი | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 23:00 | 604 | ევერტონი-დინამო(ბქ) | 1.45 | 3.80 | 6.20 | 1.04 | 1.17 | 2.35 |
| 23:15 | 605 | ჰერენვენი-ბანიკი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 23:45 | 606 | ესპანიოლი-ტეპლიცე | 1.35 | 4.40 | 6.50 | 1.03 | 1.11 | 2.62 |
| 23:45 | 607 | სპორტინგი-ჰალმსტადი | 1.20 | 5.30 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.57 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი პერუში(17)** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 635 | ჰოლანდია-მექსიკა | 2.40 | 3.00 | 2.60 | 1.33 | 1.24 | 1.39 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 706 | ბრიუნესი-მოდო | 2.15 | 4.20 | 2.35 | 1.42 | 1.12 | 1.50 |
| 21:00 | 707 | ფრიოლუნდა-მორა | 1.35 | 4.70 | 5.50 | 1.04 | 1.08 | 2.53 |
| 21:00 | 708 | იურგორდენი-სიოდერტელიე | 2.05 | 4.30 | 2.45 | 1.38 | 1.11 | 1.56 |
| 21:00 | 709 | ლულეო-ფერიესტადი | 2.50 | 4.30 | 2.00 | 1.58 | 1.11 | 1.36 |
| 21:00 | 710 | ლინჩიოპინგი-ტიმრე | 1.65 | 4.30 | 3.40 | 1.19 | 1.11 | 1.89 |
| 21:00 | 711 | ჰვ 71-ლეკსანდი | 1.60 | 4.70 | 3.40 | 1.19 | 1.08 | 1.97 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 723 | ესეტი-კარპატი | 2.80 | 4.20 | 1.70 | 1.67 | 1.05 | 1.21 |
| 19:30 | 724 | ლუკო-პელიკანსი | 1.55 | 4.50 | 3.90 | 1.15 | 1.10 | 2.08 |
| 19:30 | 725 | ტაპარა-სეიპა | 1.40 | 4.80 | 4.50 | 1.08 | 1.06 | 2.32 |
| 19:30 | 726 | ჰელსინკი-ჰაამეენლინა | 2.70 | 4.20 | 1.85 | 1.64 | 1.09 | 1.28 |
| 19:30 | 727 | იუვესკიულე-ილვესი | 2.10 | 4.20 | 2.40 | 1.39 | 1.12 | 1.52 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **29 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 811 | ხიმიკი-სევერსტალი | 2.20 | 4.30 | 2.20 | 1.45 | 1.10 | 1.45 |
| 18:30 | 812 | მედ-ნეფტეხიმიკი | 2.20 | 4.00 | 2.30 | 1.41 | 1.12 | 1.46 |
| 15:30 | 813 | სიბირი-მოლოტი | 1.50 | 4.50 | 3.70 | 1.12 | 1.06 | 2.03 |
| 16:30 | 814 | მაგნიტოგორსკი-ლოკომოტივი | 1.80 | 4.30 | 2.80 | 1.26 | 1.09 | 1.69 |
| 15:30 | 815 | ავანგარდი-აკ | 1.35 | 4.80 | 5.10 | 1.05 | 1.06 | 2.47 |
| 19:00 | 816 | დინამო-სპარტაკი | 1.20 | 5.30 | 6.50 | 1.00 | 1.01 | 2.91 |
| 18:30 | 817 | ვიტიაზი-აკ ბარსი | 4.50 | 4.30 | 1.40 | 2.19 | 1.06 | 1.05 |
| 14:30 | 818 | ნოვოკუზნეცკი-ცსკა | 2.00 | 4.30 | 2.55 | 1.36 | 1.12 | 1.60 |

# უნივერსიტეტში ნიკორამ შეაბიჯა

## თსუ-მ სპონსორი და სახელი იშოვა



**ქართული** კლუბების საერთო გაჭირვების ფონზე ეს ამბავი ძალზე სასიხარულოა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა შეძლებული სპონსორი იშოვა და გაუთავებელ გაჭირვება-უხელფასობასაც წერტილი დაუსვა.

ჯერ ოფიციალურად არ გამოცხადებულა, მაგრამ სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ თსუ-ს ხორცპროდუქტების კომპანია „ნიკორა" დააფინანსებს, რომელიც სტუდენტურ გუნდში მისვლასთან დაკავშირებით სულ მალე პრესკონფერენციას გამართავს.

„ნიკორას" რომ სერიოზული ზრახვები აქვს, გუნდში შექმნილი ვითარებიდანაც ჩანს. თუ ცოტა ხნის წინ თსუ-მ ისიც არ იცოდა, თუ რა შემადგენლობით ითამაშებდა, ახლა გუნდში 14 კალათბურთელია, რომლებიც შეკრებაზე ბათუმში არიან და „ბასკოს" დარბაზში ინტენსიურად ემზადებიან.

ბევრს და თავად სტუ-ს ხელმძღვანელობას რომ ეგონა, თითქოს ლევან ტყეშელაშვილი ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდში ითამაშებდა, გავიხედოთ და, „რუსთავის" ეს ყოფილი თავდამსხმელი ბათუმში თსუ-სთან ვარჯიშობს. იქაა ახლახან სტუ-ში მოვარჯიშე ირაკლი ბერიშვილი და დანარჩენებიც: ლაშა კეშელავა, ბესიკ ლეჟავა, ირაკლი მაისურაძე, ნიკა ვეფხვაძე, მიშა ფანჩულიძე, ნოდარ ბერაია, გიორგი მარხვაშვილი, მიხეილ ბერიშვილი, გიორგი ლომიძე, დავით ხიზანიშვილი და 15 წლის 208-სანტიმეტრიანი გიორგი შარაბიძე.

გუნდს მწვრთნელთა ძველი შტაბი ავარჯიშებს — მამუკა ტურაშვილი და გია ჯავახიშვილი. თსუ „ბასკოს" დარბაზთან მდებარე სასტუმრო „დუტაში" ცხოვრობს, სადაც 6 ოქტომბრამდე დარჩება და თბილისში გამოემგზავრება.

გუნდს თთსუ-დ კი ვიხსენებთ, მაგრამ თითქმის გადაწყვეტილია, რომ სტუდენტურ გუნდს სპონსორის სახელი, „ნიკორა" ერქმევა.

მაშ ასე, გაუთავებული ცუდამბიანობის შემდეგ ქართულ კალათბურთში ნათელმა სხივმა შემოანათა. მართალია, ეს კარგი ამბავი მხოლოდ ერთ კონკრეტულ გუნდს ეხება, მაგრამ ესეც საქმეა. თუ მძლავრი კლუბი შეიქმნება, მოთამაშეებიც შეშვებიან ირან-აზერბაიჯანისკენ ყურებას და ეროვნული ჩემპიონატიც მთლად არ გაუფერულდება.

**ირაკლი პერტაია**

# დინამო უშედეგოდ

## უსტიაშვილმა ახალგაზრდები შემოიკრიბა

ბოლო დროს ხმები დაირხა, „დინამო" დაიშალა და ჩემპიონატში აღარ ითამაშებსო. გუნდი მართლაც დაიშალა, დილმის ბაზა კი კარგა ხანს დაკეტილიც იყო, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა — კიდევ ერთი ქართული კლუბის დაშლის მოწმენი არ გავხდით. „დინამო" გადარჩა და ახალ, მე-15 ეროვნულ ჩემპიონატშიც მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ ეს ის გუნდი არ იქნება, ბოლო წლებში რომ ჩემპიონობაზე იყო დაგეშილი. ბადრი პატარკაციშვილმა მთლად არ აქცია ზურგი კალათბურთს და „დინამოს" ის დაფინანსება დაუტოვა, რომელიც მოკრძალებული შემადგენლობის შესანახად იკმარებდა. ამიტომაც „დინამომ" ახალგაზრდებზე გააკეთა აქცენტი და მომდევნო სეზონში ძირითადად 17-18 წლის ბიჭებით ითამაშებს. ახლახან დინამოელთა მთავარ მწვრთნელად დავით უსტიაშვილი დაინიშნა, რომელიც აქამდელი თავკაცის, ზურაბ ტომარაძის თანაშემწე იყო



— ოთხიოდ დღის წინ გავიგე, რომ მთავარ მწვრთნელად მნიშნავდნენ და წინაალმდეგი არ წავსულვარ. მანამდე ვიცოდი, რომ „დინამო" იშლებოდა, თუმც, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა — გვითხრა უსტიაშვილმა.

— ესე იგი გუნდი დაშლას გადაურჩა...

— დაშლას კი გადავურჩით, მაგრამ შემადგენლობას ვერ შევინარჩუნებთ. უფრო სწორად, გუნდი ლიდერებმა და ცოტა ხანში შესულმა მოთამაშეებმა დატოვეს, მათ ნაცვლად კი სულ ახალგაზრდები მოვიდნენ.

— **მთლიანად ახალგაზრდები გეყოლებათ თუ გამოცდილებსაც შეიმატებთ?**

— არა, ბიუჯეტი იმის საშუალებას არ გვაძლევს, რომ ძლიერი მოთამაშეები შევიმატოთ. ჯერჯერობით 10-12 კალათბურთელია გუნდში, მაგრამ აქედანვე ვიტყვი,თ რომ მხოლოდ ახალგაზრდებს დავიმატებთ. ახლა სულ 16-18 წლის ბიჭები გვყავს, ყველაზე ასაკიანი 26 წლის ლადო სუხიშვილია.

— **თქვენი თანაშემწე ვინ იქნება?**

— ჯერჯერობით არავინ დაუნიშნავთ და არც ის ვიცი, აპირებენ თუ არა.

— **ზურაბ ტომარაძე „დინამოში" აღარ იმუშავებს?**

— არა, ის ირანში წავიდა, მაგრამ მოეწყო თუ არა გუნდში, არ ვიცი.

— **„დინამო" და ამბიციის გარეშე?**

— სხვა რა გზაა, ჩვენ ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, რომ ახალი თაობა გამოვზარდოთ. კლუბის ხელმძღვანელობა შედეგს არ ითხოვს.

**ირაკლი პერტაია**



# მძიმე წონაში ნადავლი ველარ დაგვიმძიმდა

**გუშინ** ბუდაპეშტში დასრულდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ვაჟებში. საქართველოს მოჭიდავეთაგან სარბიელზე სულ ბოლოს გამოვიდა ლექსო მოდებაძე. პირველ შეხვედრაში მან მოუგო ბულგარულ კრასიმირ კოჩევს 3:1, მეორე წრეში კი თავად დამარცხდა ჩინელ ლეი ლიანგთან (1:3). სამწუხაროდ, ლიანგი მერე თავადაც დამარცხდა კუბელ ალექსის როდრიგეს ვალერასთან და მოდებაძეს შემდგომი ბრძოლის გაგრძელების საშუალება არ მიეცა.

ასე რომ, მძიმე წონაში აქამდელი ნადავლი (თითო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი ველარ დაგვიმძიმდა.

საბოლოოდ მძიმე წონაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

1. აიდინ პოლაჩი (თურქეთი), 2. ალექსის როდრიგეს ვალერა (კუბა), 3. ოტო ქოლტ აუბელი (უნგრეთი), 3. ტოლი ტომპსონი (აშშ).

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ბრძოლები ბუდაპეშტში, ლასლო პაპის სახელობის დარბაზში ამით არ დასრულებულა დღეს სარბიელზე გავა რუსთაველი ელა გიგილაშვილი, რომელიც 63 კგ წონით კატეგორიაში იბრძოლებს, რაც საქართველოს ქალთა ჭიდაობის ისტორიაში პირველი შემთხვევა იქნება.



# ერთი ცენტრის სამი სექტორი

**იტალიის** უსაფრთხოების საზოგადოებრივი კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა შეიქმნას ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დღეებისთვის სპეციალური უსაფრთხოების ცენტრი.

ეს ცენტრი ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის შენობაში განთავსდება და სამ სექტორად დაიყოფა. ეს იქნება საკოორდინაციო, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ადგილობრივი ადმინისტრაციისა და მომსახურეობის სფეროს კომპანიისთვის მომსახურების შეთავაზების სექტორები.

ცენტრში იმუშავებენ ინტერპოლის, ტურინის პრეფექტურის, პოლიციის, სახანძრო ბრიგადებისა და ყველა, ოთხმოცივე მონაწილე ქვეყნის წარმომადგენლები.

# ოლიმპიური რკინიგზა

**ტურინში** ზამთრის ოლიმპიური თამაშების დღეებისთვის იტალიის რკინიგზამ დამატებით 100 ვაგონი მიიღო. მისი შემადგენლობები ალპური ბაზებისკენ იმოძრავებენ, აგრეთვე ქალაქებს შორის და მთავარი აეროპორტისკენ. გულშემატკივრებისთვის ამ მატარებლებში სპეციალური ტარიფებია შემოღებული, ხოლო სპორტსმენები, მსაჯები, მწვრთნელები, ვოლონტიორები და ტექნიკური პერსონალი ნებისმიერი მიმართულებით უფასოდ იმოგზაურებენ.

რკინიგზის დამატებითი ხაზები 26 იანვრიდან 26 მარტამდე იმუშავებენ. შეგახსენებთ, რომ ეს ოლიმპიური თამაშები ტურინში 10-დან 26 თებერვლამდე გაიმართება, ხოლო 10-დან 19 მარტამდე პარაოლიმპიური თამაშები ჩატარდება.

# სოჭი მრგვალ მაგიდაზე

**2014 წლის** ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ბორჯომ-ბაკურიანთბილისის ერთ-ერთი კონკურენტი სოჭი საკმაოდ აქტიურობს. დღეს აქ გაიმართება მრგვალი მაგიდა თემაზე „სოჭი 2014-ის ოლიმპიური განაცხადი", რომელიც გაიმართება აქ მიმდინარე საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის „ყუბანი-2005"-ის ფარგლებში. ამ ღონისძიებას სოჭის სასტუმრო „ჟემჩუჟინა" უმასპინძლებს.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან სოჭის ადმინისტრაცია და „სოჭი 2014"-ის საგანაცხადო კომიტეტი.

მრგვალ მაგიდაზე პირველად შედგება „სოჭი 2014"-ის საგანაცხადო კამპანიის ოფიციალური პრეზენტაცია. მას წარმოადგენს სოჭის საქალაქო ორგანიზაციის მეთაურის მოადგილე ინვესტიციებისა და ბიზნესმეწარმეობის პოლიტიკაში ალექსანდრ უდალოვი, აგრეთვე რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის მრჩეველი, ფედერალური სამთო-სათხილამურო სპორტისა და სნოუბორდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი სვეტლანა გურევა.

# კორეა კორეას მხარში ამოუდგა

**კორეის** სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს სამხრეთ კორეას 2014 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად. საინტერესოა, რომ ამ ორ ქვეყნას ოლიმპიური თამაშების ერთობლივი მასპინძლობის თაობაზე არ უმსჯელიათ.

სამხრეთ კორეა 2010 წლის ოლიმპიადის სამასპინძლოდაც იბრძოდა, მაგრამ კანადასთან ჭიდილში დამარცხდა.



ტომი ჰაასი

# კლასი მაინც კლასია

## ლაბაძე ჰაასთან მაინც ვერას გახდა

**ATP**

**ბანგკოკი. ტაილანდი**

**მაგარსაფარი.**

**საპრიზო 550 000 $**

**I წრე**

ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — 6:4 6:3
ტომი ჰაასი (4, გერმანია) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — 6:3 4:6 6:4
დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) — 2:6 6:3 7:5
ლუის ჰორნა (8, პერუ) — ივო მინარი (ჩეხეთი) — 4:6 7:6 6:4
ლეიტონ ჰიუიტი (2, ავსტრალია) — ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) — 6:3 3:6 7:5
როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — მარკოს დანიელი (ბრაზილია) — 7:6 6:4

**II წრე**

რობი ჯინეპრი (3, აშშ) — ნიკოლას ტომანი (საფრანგეთი) — 6:3 7:6

**ტაილანდის** დედაქალაქ ბანგკოკში დაიწყო ATP-ის რანგის მორიგი ტურნირი. სამშაბათს დასრულდა პირველი წრის მატჩები.

სამწუხაროდ, ქართველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე ტურნირის პირველივე ეტაპზე გამოეთიშა. იგი მძიმე, სამსეტიან დაპირისპირებაში დამარცხდა ტურნირის მეოთხე ნომრად განთესილ გერმანელ ჩოგბურთელ ტომი ჰაასთან. პირველი სეტის წაგების შემდეგ ლაბაძემ შეძლო მატჩის თავის სასარგებლოდ მოტრიალება და მეორე სეტი მოიგო კიდეც, თუმც გადამწყვეტ მომენტებში კარგად გამოჩნდა ჰაასის მაღალი სათამაშო კლასი და მესამე სეტი და მთლიანად მატჩიც მის სასარგებლოდ დასრულდა.

სხვა მატჩებისგან აღსანიშნავია ტურნირის პირველი ნომრისა და საერთო ჩათვლის ლიდერ როჯერ ფედერერის გამარჯვება, რომელმაც ზედმეტი პრობლემების გარეშე დაამარცხა ბრაზილიელი მარკოს დანიელი. შვეიცარიელისგან განსხვავებით, ტურნირის მეორე ნომერ ლეიტონ ჰიუიტს პირველი წრის გავლა გაუჭირდა. ჩეხმა ლუკაშ დლუჰიმ ავსტრალიელს დიდი წინააღმდეგობა გაუწია და ერთი სეტიც კი მოუგო, მაგრამ ჰიუიტის კლასმა და გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და ასპარეზობას ის განაგრძობს.

შემდეგ წრეში ასევე გავიდნენ რუსი ტურსუნოვი, პერუელი ჰორნა და ამერიკელი გიმელსტობი.

რაც შეეხება წლევანდელი US OPEN-ის ნახევარფინალისტსა და ტურნირის მესამე ნომერ რობი ჯინეპრის, მან უკვე მოასწრო მეორე წრის გავლა და პირველი მეოთხედფინალისტიც გახდა.

**WTA TOUR**

**ლუქსემბურგი**

**მაგარსაფარი**

**საპრიზო 585 000 $**

**I წრე**

დეილი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) — მელიენ ტუ (აშშ) — 6:1, 6:2
ანა-ლენა გრონეფილდი (გერმანია) — ელენა დანილიდუ (საბერძნეთი) — 6:4, 6:4
რობერტა ვინჩი (იტალია) — მიკაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) — 7:6, 6:4
იარმილა გაჯოსოვა (სლოვაკეთი) — კატერინა სრებოტნიკი (სლოვენია) — 7:6, 6:4

**II წრე**

ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) — ვირჯინია რაზანო (საფრანგეთი) — 6:2; შეწყდა
დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 5) — ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) — 6:4, 6:1

**ლექსემბურგში** დაიწყო WTA ტურის მორიგი ტურნირი, რომელზეც საკმაოდ სოლიდური თანხა — 585 000 დოლარი გათამაშდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირზე საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, თუმც არის გამორჩეული ფავორიტიც — წლევანდელი US OPEN-ის გამარჯვებული კიმ კლაისტერსი.

გუშინ პირველი წრის მატჩები დასრულდა და მეორისა დაიწყო. ყველაზე საინტერესო დაპირისპირება წინა კვირას პეკინის ტურნირის ფინალისტ გერმანელ გრონეფილდსა და ბერძენ დენილიდუს შორის გაიმართა. მატჩმა საათზე მეტხანს გასტანა, საბოლოოდ კი გერმანელის გამარჯვებით დასრულდა.

რაც შეეხებათ მეორე წრის მატჩებს, აქ იტალიელმა ფრანჩესკა სკიავონემ და სლოვაკმა დანიელა ჰანტუხოვამ გაიმარჯვეს და მეოთხედფინალში გავიდნენ.

# პატარა მებრძოლი

## შაფაქიძემ პროგნოზიორები გააჩუმა

**ბათუმის** ტურნირზე ჯერ მეორე წრეც არ გახურებულა და სამი ქართველი ჩოგბურთელიდან ბრძოლას ერთიღა შემორჩა. გუშინდელი დღე ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოდგა. თამაშები თერთმეტი საათისთვის დაიწყო და ლამის მზის ჩასვლამდე გაგრძელდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას, ცხადია, ქართველების შეხვედრები იპყრობდა. მაკა ჩახნაშვილის, ანა ტატიშვილისა და მანანა შაფაქიძის უიღბლო კენჭისყრაზე გუშინაც ბევრს საუბრობდნენ და ტურნირის დასრულებამდეც ალბათ ხშირად გაიხსენებენ. არადა, მართლაც რომ არა უიღბლობა, იქნებ პირველი წრე გაცილებით შედეგიანიც გამოსულიყო.

დილიდანვე ყველაზე ხალხმრავალი მეორე კორტის მიმდებარე ტრიბუნები იყო. ჩახნაშვილი ერთი კვირის წინანდელ „ქართუს თასზე" თავის მძლეველ სერბ ანა ტიმოტიჩს დაუპირისპირდა.

თბილისში ქართველს გამარჯვების მცირე შანსიც კი არ ჰქონია, ამჯერად კი აშკარად მეტს იმსახურებდა, თუნდაც სამსეტიან თამაშს.

შეხვედრა მაკას კარნახით დაიწყო და სტაბილურ ორქულიან უპირატესობასაც მალევე მიაღწია. ასე იყო 5:3-მდე, მერე კი როგორღაც უპირატესობა გაანიავა, შეცდომებს უმატა და ათიოდ წუთში უკვე 5:6-ს აგებდა. სამწუხაროდ, თამაშის ტაიბრეიკამდე მიყვანა ველარ შეძლო, თუმც სამისოდ მართლაც გვარიანად იბრძოლა. ტიმოტიჩს სეტბოლი ლამის ათჯერ არ დაანება.

ეს იყო და ეს, მეორე სეტში ბრძოლა ველარ ვიხილეთ. ჩახნაშვილი აშკარად გატყდა და მეტოქეს მხოლოდ ერთხელ აართვა ქულა.

გაცილებით საინტერესო და დაძაბული გამოდგა იმავე კორტზე ჩატარებული მეორე შეხვედრა.

ერთმანეთის პირისპირ ორი ნიჭიერი ქართველი ჩოგბურთელი დადგა — 15 წლის ანა ტატიშვილი და 16 წლის მანანა შაფაქიძე. აქვე ვთქვათ, რომ ორივე „ვაილდ ქაარდით" იყო ძირითად ბადეში მოხვედრილი. პროგნოზიორთა უმრავლესობა ტატიშვილის გამარჯვებას ელოდა. ამერიკაში ნავარჯიშევ-ნათამაშევი გოგონა კარგ ჩოგბურთს რომ თამაშობს, მაყურებელი წინა დღეს, წყვილთა თამაშისას დარწმუნდა, შაფაქიძის მხარდამჭერების მთავარი არგუმენტი კი მანჩოს საოცარი შემართება და ბრძოლისუნარიანობა იყო. არც ერთი რომ არ აკლია, შაფაქიძემ „ბორჯომისა" და „ქართუს" თასებზეც ხომ დაამტკიცა.

თითქმის ერთი საათი ისე გაილია, ვერც ერთი ქართველი უპირატესობას ვერ დაეუფლა. ხან თავის მოწოდებებს იგებდნენ მიჯრით, ხანაც ერთმანეთისას 5:5-მდე ორქულიანი სხვაობა არ დაფიქსირებულა. სეტის ბედი ამის შემდეგ, ორ გეიმში გადაწყდა, როცა ტატიშვილმა მეტოქესთან შედარებით ნაკლები შეცდომა დაუშვა და დაწინაურდა.

ნახევარი საქმე გაკეთებული იყო, თუმც ვისაც შაფაქიძის თამაში გინახავთ, დამერწმუნებით, პირველი სეტის წაგება მისთვის ვერაფერი დარტყმაა. კორტზე კიდევ უფრო მობილიზებული ბრუნდება და ბოლო მოწოდებამდე თავდაუზოგავად იბრძვის.

ალბათ ამიტომაც იყო, მეორე სეტში გულშემატკივართა უმეტესობა მის მხარეს რომ გადავიდა. შაფაქიძემაც არ გაუცრუა იმედები. დროდადრო თავს შეუძახებდა — მიდი, მანჩო, შეგიძლიაო და მართლაც, კიდევ უფრო შემართული ხდებოდა.



მანანა შაფაქიძე

ამასობაში ანამ სულ უფრო და უფრო მარტივ სიტუაციაში შეცდომებს უმატა. ყოველი გაცუდებული დარტყმის შემდეგ იმ ტრიბუნას ახედავდა, სადაც მამამისი იჯდა.

საბოლოოდ შაფაქიძემ მესამე სეტში დიდი უპირატესობით — 6:1 იმარჯვა.

„საოცრად ბევრი ვინერვიულე — გვითხრა ნამატჩევს — ვერ წარმოიდგენთ, რას ნიშნავს ჩემთვის ქართველთან და მით უმეტეს, მეგობართან შეხვედრა. ანა ჩემზე ექვსი თვით უფროსია და ერთხანს ერთადაც ვვარჯიშობდით. აქამდე ოთხჯერ ვითამაშეთ და ორ-ორჯერ მოვიგეთ. დღეს ის გაიმარჯვებდა, ვინც ფსიქოლოგიურად უკეთ განეწყობოდა. ამ მატჩს ფიზიკურ-ტექნიკურ ბრძოლას ნაღდად ვერ დავარქმევდი. საბედნიეროდ, ნერვებმა უფრო მეტად მე გამიძლო და მეორე წრეში გავედი. ვერც წარმოიდგენთ, ისეთი ბედნიერი ვარ."

„ბოლო ქართულ იმედს" მერვედფინალის სავარაუდო მეტოქეებზეც დავეკითხეთ (ჯერ რუსი ლიუდმილა სკავრონსკაიასა და ბრიტანელი კარენ პატერსონის შეხვედრა არ დასრულებულიყო).

მანანა შაფაქიძე: ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ვის ვეთამაშები. ყველა თამაში 0:0-დან იწყება და კორტზე სულ მოსაგებად შევდივარ. სკავრონსკაია მეორე ნომრადაა განთესილი და ყველა მას ჩათვლის ფავორიტად, მე კი ეს დამატებით სტიმულს მომცემს. უფრო მონდომებით ვითამაშებ, თან დასაკარგიც არაფერი მექნება.

მეორე წრის შეხვედრები დღეს დილიდან დაიწყება. შაფაქიძე კორტზე თორმეტ საათზე გავა პატერსონის პირისპირ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## ბათუმის ქალთა ღია პირველობა
## საპრიზო 50 000 $

| I წრე | შედეგი |
|---|---|
| 1 ანასტასია იაკიმოვა (1, ბელარუსი) – 2 ანგელიკა როეში (გერმანია) | იაკიმოვა 6:3 6:2 |
| 3 კაროლინა კოსინსკა (პოლონეთი) – 4 მარინა შამაიკო (რუსეთი) | კოსინსკა 6:1 6:4 |
| 5 ვოისლავა ლუკიჩი (სერბეთი) – 6 ანა ბასტრიკოვა (რუსეთი) | ბასტრიკოვა 6:0 6:1 |
| 7 ელენა კულიკოვა (რუსეთი) – 8 სანდრა ზაჰლავოვა (5, ჩეხეთი) | ზაჰლავოვა 7:5 6:4 |
| 9 მატეა მეზაკი (3, ხორვატია) – 10 ვერონიკა კაპშეი (უკრაინა) | კაპშეი 6:2 7:6 (6) |
| 11 ნადეჟდა ოსტროვსკაია (ბელარუსი) – 12 ოლგა პანოვა (რუსეთი) | პანოვა 6:2 7:6 (3) |
| 13 ირინა კუზმინა (ლატვია) – 14 ნინა ბრატჩიკოვა (რუსეთი) | კუზმინა 7:5 6:3 |
| 15 აურელია ვედი (საფრანგეთი) – 16 ვასილისა ბარდინა (7, რუსეთი) | ბარდინა 6:2 6:1 |
| 17 ალა კუდრიავცევა (8, რუსეთი) – 18 ტატიანა პრიახინი (გერმანია) | კუდრიავცევა 6:2 6:2 |
| 19 ევგენია როდინა (რუსეთი) – 20 მარია გეცნენგე (ბულგარეთი) | როდინა 7:5 7:5 |
| 21 ირინა კოტკინა (რუსეთი) – 22 ეკატერინა კოზოხინა (რუსეთი) | კოტკინა 6:4 6:3 |
| 23 ოქსანა ლიუბცოვა (უკრაინა) – 24 ტატიანა უვაროვა (4, ბულგარეთი) | ლიუბცოვა 6:1 6:1 |
| 25 ეკატერინა დეჰალევიჩი (6, ბულგარეთი) – 26 ოქსანა ტეპლიაკოვა (უკრაინა) | დეჰალევიჩი 6:2 4:6 6:4 |
| 27 ანა ტიმოტიჩი (სერბეთი) – 28 მარგალიტა ჩახნაშვილი (საქართველო) | ტიმოტიჩი 7:5 6:1 |
| 29 მანანა შაფაქიძე (საქართველო) – 30 ანა ტატიშვილი (საქართველო) | შაფაქიძე 5:7 6:3 6:1 |
| 31 კარენ პეტერსონი (დიდი ბრიტანეთი) – 32 ლიუდმილა სკავრონსკაია (2, რუსეთი) | პეტერსონი 3:6 6:4 7:6 (3) |



# გროსმაისტერთა ნიძლავი

**არგენტინის** ქალაქ სან ლუისში გუშინ დაიწყო მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ტურის ცენტრალური მატჩი ორი ფავორიტის შეხვედრა პეტერ ლეკოსა და ბულგარელი ვლესელინ ტოპალოვის შეხვედრა, იყო. მანამდე ღამით გაიმართა ტურნირის გახსნის საზეიმო ცერემონიალი, რომლის მთავარი გმირი შეჯიბრების რვავე მონაწილე იყო. კულმინაციური გახდა კენჭისყრის პროცედურა, რომლის შედეგადაც გაირკვა ტურნირის განრიგი.

ცერემონიის დამთავრების შემდეგ, რომელიც ბრწყინვალე ფოიერვერკით დაგვირგვინდა, ჩემპიონატის პირველი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა პეტერ ლეკომ.

„ჩემპიონატში მონაწილეობა ნებისმიერი გროსმაისტერისთვის დიდი მიზანია. პირადად მე ამისთვის რამდენიმე თვის განმავლობაში ვემზადებოდი. ჯერჯერობით აქ ყველაფერი მომწონს. ტურნირის ორგანიზაცია უმაღლეს დონეზეა. ხალხმა ყველა წვრილმანზე იზრუნა. ადგილობრივმა მცხოვრებლმაც ძალიან გულთბილად მიგვიღეს.

ტურნირი, რომელიც გუშინ გვიან დაიწყო, 15 ოქტომბერს დასრულდება, როცა ტაი ბრეიკები გაიმართება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი საჭირო გახდება, 11 ოქტომბერს კი ჩემპიონატის საზეიმო დახურვა მოეწყობა.

წუხელ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მოროზევიჩი (მისი რეიტინგია 2707) — კასიმჯანოვი (2670), პოლგარი (2735) — ანანდი (2788), ლეკო (2763) — ტოპალოვი (2788), სვიდლერი (2738) — ადამსი (2719).

აქ ყველაზე საინტერესო სამიდან ორი აშკარა ფავორიტის გამოსვლაა. ესენი არიან ვეიკ ან ზეეს ტრიუმფატორი ლეკო და სოფიის ტურნირის გამარჯვებული ტოპალოვი, რომელმაც მთელ ჩემპიონატს ტონი უნდა მისცეს.

გვირგვინის მესამე პრეტენდენტია ვიშვანათან ანანდი. იგი პირველ ორ ტურში შავებით ითამაშებს, ამასთან მისი მეორე მეტოქე ბულგარელი იქნება.

შეგახსენებთ, რომ ორ წრედ გამართული ტურნირის გამარჯვებული საჭადრაკო გვირგვინთან ერთად 300 000 დოლარსაც მიიღებს.

მეორე ადგილზე გასული 100 000 დოლარით ნაკლებს მიიღებს, ხოლო მესამე პრიზიორი 140 000 დოლარით დაკმაყოფილდება.

მსოფლიოს ჩემპიონი გახდება ის გროსმაისტერი, რომელიც 14 ტურის შედეგებით ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს. თუ ორ ან მეტ მონაწილეს ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდება, მაშინ გამარჯვებულს ერთმანეთში პირადი შედეგები გაარკვევს. თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოჩნდება, მაშინ მხედველობაში მიიღებენ ტურნირში საერთო გამარჯვებათა სიმრავლეს. თუ ამ მაჩვენებლითაც არ გამოვლინდა გამარჯვებული, მაშინ დაინიშნება ტაი ბრეიკები. ეს იქნება მატჩი შემცირებული საკონტროლო დროით.

ტურნირში დადგენილია სათამაშო დრო — 2 საათი ორმოც სვლაზე, პლუს 1 საათი შემდგომ ოც სვლაზე და პლუს 15 წუთი დამატებული 30 წამით მთელ დანარჩენ სვლებზე.

ტურნირზე გათვალისწინებულია სამი დასვენების დღე, რომელიც იქნება მეოთხე, მერვე და მეთორმეტე ტურების შემდეგ.

დაბოლოს, გაცნობებთ იმ საინტერესო სანაძლეოს შესახებ, რომელიც დადეს ავანსცენიდან ჩამოსულმა გროსმაისტერებმა გარი კასპაროვმა და ნაიჯელ შორტმა.

რუსის აზრით, იმის ალბათობა, რომ ტურნირის გამარჯვებული ანანდ-ტოპალოვ-ლეკოს სამეულიდან ერთ-ერთი გახდება, 95 პროცენტია.

ინგლისელი ამას არ ეთანხმება და ამბობს, რომ სხვა გროსმაისტერების გამარჯვების შანსი გაცილებით მეტია იმ 5 პროცენტზე, რომელიც მათ კასპაროვმა დაუტოვა. ამასთან, შორტმა გასპაროვს შესთავაზა სანაძლეო ფულზე ყოფილიყო. გამარჯვების შემთხვევაში ინგლისელი, რომელმაც 100 დოლარი დადო, 1700 მიიღებს.

# სუპერმარიოს დაბრუნება... ოჯახში

**ამ** დღეებში ახლო წარსულში სახელგანთქმულმა იტალიელმა ველომრბოლმა მარიო ჩიპოლინიმ თავის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. მან მიატოვა თავისი საყვარელი — ბრაზილიელი მოდელი მაგდა გომესი და დაუბრუნდა ცოლს საბრინა ლანდუჩის. ამან იტალიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რაკიღა სუპერმარიომ იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური მოდელი მიატოვა.

სპორტსმენობისას ჩიპოლინი სულაც არ იკავებდა თავს მუდმივად მის ირგვლივ მოტრიალე ქალებთან გართობისგან, მაგრამ წლევანდლამდე იგი მაინც მშვიდობიანად ცხოვრობდა თავის ცოლთან, რომელთანაც მას ორი ქალიშვილი — ლუკრეცია და რამდენი აკავშირებს.

სპორტიდან წასვლის შემდეგ ჩიპოლინიმ მთელი ყურადღება ოჯახს დაუთმო, მაგრამ წლევანდელ მაისში მოულოდნელად საბრინას გასცა ხმა, რომ სხვასთან მიდიოდა. სპორტსმენის გულშემატკივრები ამ ამბავმა მეტად შეაცბუნა.

სხვათა შორის, ჩიპოლინი სულაც არ იყო პირველი ცნობილი სპორტსმენი, რომელიც მაგდა გომესის სიყვარულით ტკბებოდა.

ეს წყვილი დღე და ღამეს ერთად ატარებდა. ყველა ფიქრობდა, რომ მათ თავდავიწყებით უყვარდათ ერთმანეთი და არასდროს დაშორდებოდნენ, მაგრამ...

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მარიოს ოჯახი გაახსენდა და დაბრუნება გადაწყვიტა.



ჩიპოლინის მიტოვებული მაგდა გომესი



# კლიჩკო პიტერს: რა კრივი მოგინდა, შე ქოქოსო

**გასულ** შაბათს მსოფლიოს მძიმეწონოსანმა ექსჩემპიონმა WBO-ს ვერსიით ვლადიმერ კლიჩკომ უკვე IBF-ის ეგიდით სარეიტინგო კრივი მოუგო ნიგერიელ სამუელ პიტერს და მერე ბაქიბუქს მოჰყვა.

„პიტერთან ბრძოლის საუკეთესო შედეგი ჩემთვის ის იქნებოდა, რომ მეტოქე მე-12 რაუნდში დამენოკაუტებინა და მქონდა კიდეც ამის შანსი, მაგრამ არ გამოვიდა. საბოლოოდ მაინც გავიმარჯვე და ესაა მთავარი, ხოლო რაც პიტერს ჩემი დარტყმები გაუძლო, შემიძლია ვივარაუდო, რომ მას თავის ნაცვლად მხრებზე ქოქოსის კაკალი ადგას“.

საერთოდ, ეს ბრძოლა სავსე იყო კლინჩებით, რაც მოკრივეთა ერთმანეთზე ჩამოკიდებას, ჩახუტებას ნიშნავს. ეს მომენტი კრივს არ უხდება, მაგრამ, კლიჩკოს აზრით, კლინჩი სპორტის ამ სახეობის შემადგენელი ნაწილია.

„კლინჩის გარეშე კრივი წარმოუდგენელია. ამ ეგრეთ წოდებულ ილეთს არაერთი დიდი მოკრივე იყენებდა. მუჰამედ ალი ითვლებოდა კლინჩის უბადლო ოსტატად. ეს ილეთი იყო ჩემი სტრატეგიის მთავარი შემადგენელი ნაწილი და სულაც არ მეთაკილება, ასეთ სტილში რომ ვიმარჯვე“.

უნდა აღინიშნოს, რომ კლიჩკო, მიუხედავად გამარჯვებისა, პიტერმა რინგზე სამჯერ გააკოტრიალა, მაგრამ უკრაინელი გიგანტი ნოკდაუნიდან მშრალად გამოვიდა.

„ჩემს წაგებაში მსაჯია დამნაშავე — უკმაყოფილო იყო სემუელ პიტერი — რეფერი არ აჩერებდა ბრძოლას, როცა კლიჩკო მთელი თავისი ტანით მეტაკებოდა. ეს კი წესებით აკრძალულია. ნებისმიერ დღეს, ნებისმიერ ადგილას მე მზად ვარ დავამტკიცო, რომ მასზე ძლიერი ვარ, ოღონდაც კლიჩკო მატჩ-რევანშზე დამთანხმდეს და მსაჯებად სხვები დანიშნონ“.

პიტერმა დასძინა, რომ წაგებას სულაც არ დაუღონებია. ის დარწმუნებულია, რომ სულ მალე კლიჩკოსაც წააქცევს და მერე IBF-ის საჩემპიონო ქამარსაც შემოირტყამს.

**ტრისტან თათმანიძე**

# ფანტაზიური ჯონსონი ჯონსებს ემუქრება

**მსოფლიოს** ოდინდელი ჩემპიონი IBF-ის ვერსიით გლენ ჯონსონი კვლავ ელიტაში აღზევებას ლამობს და ჯერ კარსმომდგარი მეტოქე არ გაულახავს, ქვემძიმე წონის ვარსკვლავებს ულერებს მუშტებს.

30 სექტემბერს ჯონსონი სარეიტინგოდ შეებრძოლება ჯორჯ ჯონსს და ვარაუდობს, რომ მისი ძლევის შემდეგ მას საჩემპიონო კრივობა მოუწევს ქვემძიმე წონის ორ ყოჩთაგან ერთ-ერთთან — ან როი ჯონსთან, ანაც ანტონიო ტარვერთან.

ამ ბოლო ხანებში გლენ ჯონსონს ტარვერთანაც წაუგია და როი ჯონსთანაც, თუმცა იხტიბარს არ იტეხს და ისევ მათთან შერკინებაზე ფიქრობს. ტარვერ-ჯონსის ბრძოლაც მალე უნდა გაიმართოს და ამათში გამარჯვებულს გლენ ჯონსონი ემუქრება. 30 სექტემბერს ჯორჯ ჯონსს გავაგორებ და მერე ალბათ მის მოგვარე როისაც იგივე დღეს დავაყრით. ჯონსონი ვარაუდობს, რომ ჯონსი ტარვერს დაჩაგრავს და სწორედ როისთან კრივობას ეშურება.

„მიჯობს, რომ ჯონსს ვეკრივო, რადგან ამ ბრძოლიდან ფულიც მეტი შემომივა და გამარჯვების შემთხვევაშიც დიდ ფურორს მოვახდენ — ფანტაზიორობს ჯონსონი — ისე, რატომაც არა, როის დამარცხება სწორედაც რომ შემიძლია და ამას გავაკეთებ კიდეც“.

**ტრისტან თათმანიძე**

# ბრიტანი ფერი

AFP პლიმუთიდან



პლიმუთს ახალი შეჯიბრია, „ბრიტანი ფერის თასი". იახტები მწკრივად არიან და ამინდიც ვარგისიანი ყოფილა. ნაოსნობა პლიმუთიდან როსკოფამდე მიცურვით დასრულდება.

# ფარაონის ქალი

ეგვიპტეში გახურდა ფარაონების რალი, რომელშიც 40 ეკიპაჟი ჩაბმულა. ფრანგი ანტონიო დე რუსარი „პერარდის" ფავორიტი გუნდის ნავიგატორია და თავისი „ფოლკსვაგენისა" ყველაფერი იცის.

AFP ქაიროდან



# ქვიქსილვერ პრო

ქვიქსილვერ პროს სერფაობა გახურებულა სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის წყლებში. ეს 11 ეტაპიანი მსოფლიო თასი რიგით მეცხრე შეჯიბრია, რომელშიც 45 საუკეთესო მოსერფე და ოთხი იღბალა მონაწილეობს. ფოტოზე კი ავსტრალიელი მაიკ ლოუა.





# თაჩდაუნის ფრენა

ატლანტელ დუაინ ბლეკლის (№85) ამ გაფრენას თაჩდაუნი მოჰყვა. მსაჯი ყურადღებით უცქერდა. ატლანტელთა მეტოქენი კი ბუფალოელები იყვნენ.



# მუსლიმქალთა გოლფი

ირანში მუსლიმ ქალთა თამაშები გრძელდება: 18 სპორტი და 48 ქვეყანა. ირანელი ზოჰრე ჰოჯაბრი კი იმას ხარობს, რომ მართლა მაგარია გოლფში. აქვე უნდა ითქვას, რომ წლეულს ამ შეჯიბრებებში არამუსლიმი ქალებიც მონაწილეობენ, ოღონდ სავალდებულო სამოსი მათაც აცვიათ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნარობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაკა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ ძაღლიკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გალუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge